# სარბიელი

სპორტული გაზეთი ორშაბათი 15 აგვისტო 2005 №185 (2508) ფასი 50 თეთრი




## მერაბ ჟორდანია: გამოსვლა მეორე

3

## ქართველები ყაზახეთში გაერთიანდებიან

### ასათიანი ასიანი არ იქნება



დღეს დილით საქართველოს ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრებები ყაზახეთის დედაქალაქ ალმათიში გაფრინდნენ. ალბათ შეხსენებაც ზედმეტია, რომ ჩვენებს ყაზახებთან შესარჩევი ციკლის მატჩები აქვთ გასამართი. მანამდე კი, გუშინ, ეროვნულ-ახალგაზრდულმა ნაკრებებმა თენგიზ სულაქველიძის ბავშვთა ფეხბურთის სკოლაში ნახევარ-ნახევარ მოედანზე ერთდროულად ივარჯიშეს.

## დედამიწა მდედრებმა გაამდიდრეს

### მსოფლიო რეკორდები ივანოვა, ისინბაევა, მენენდესი



71,70 მ — კუბელმა ოსლეიდის მენენდესმა საკუთარი მსოფლიო რეკორდი 26 სანტიმეტრით გააუმჯობესა



## რობინიოს დედის საქმე ბინ ლადენს დააბრალეს

### დამნაშავე დაიჭირეს

8

# საქართველოს ნაკრები ყაზახეთში შეივსება





გაჩიკო კეთილაძის ფოტოები

**გაიოზ დარსაძის** ხელქვეით თორმეტი ფეხბურთელი დავთვალეთ — ზვიდ სტურუას, გიორგი ლომაიას, შალვა ღონღაძეს, დავით ოდიკაძეს, ჯაბა კანკავას, კახა ჩხეტიანს, კახა ალადაშვილს, გიორგი განუგრავას, ლაშა სალუქვაძეს და ზურაბ მენთეშაშვილს გუშინ ზურაბ ხიზანიშვილი და ალექსანდრე იაშვილი შეემატნენ. გუშინვე სალამოს შეუერთდნენ გუნდს ლევან კობიაშვილი, ლევან ცქიტიშვილი და გიორგი დემეტრაძე, ხოლო კახა კალაძე, დავით მუჯირი და ლადო ახალაია პირდაპირ ალმათიში ჩავლენ.

საბოლოოდ გაირკვა, რომ ტრავმის გამო ყაზახეთში ვერ ითამაშებს მოსკოვის ლოკომოტიველი მალხაზ ასათიანი, ვინც ვენის „რაპიდთან" საჩემპიონთალიგო მატჩში დაშავდა და ერთი კვირა მკურნალობა მოუწევს.

გუშინდელი ვარჯიში კი დანიმიური გამოდგა — დარსაძემ ბიჭები უმეტესად ბურთით ავარჯიშა და რამდენიმე კომბინაცია დაამუშავებინა. მართალია, იმ ფეხბურთელთათვის, რომლებმაც გუშინდელი წვრთნა გამოტოვეს, ახალი მწვრთნელის იდეები ჯერჯერობით უცნობია, თუმცა გაიოზ დარსაძე მაინც კმაყოფილი დარჩა...

— რამდენიმე ფეხბურთელი გვაკლია, მაგრამ ეს კომბინაციები დღეს რომ არ დაგვემუშავებინა, თამაშამდე დრო აღარ გვეყოფოდა, ალმათიში სხვა პრობლემებზეც მოგვიწევს მუშაობა. დღეს კი კმაყოფილი ვარ, ბიჭები მაქსიმალურად ცდილობენ, დავალებები შეასრულონ.

**— ყაზახეთის თამაშის ფირი თუ გაქვთ?**

— ფირი გვაქვს, ყაზახეთისა და თურქეთის (0:6) თამაშს ვნახავთ და ბიჭებსაც მეტოქის შესახებ ყველა ინფორმაციას მივაწვდით.

**— მალხაზ ასათიანის ნაცვლად ვინმეს მიწვევას ხომ არ აპირებთ?**

— არა, ჩვენ თავიდანვე ოცი ფეხბურთელი გვყავდა გამოძახებული და დამატება აღარ დაგვჭირდება.

**— რატომ არ მიიწვიეთ ნაკრებში შოთა არველაძე?**

— ამ ეტაპზე ასეთი შემადგენლობა შევარჩიეთ.

**— შესაძლოა, ახალგაზრდული ნაკრებიდან ვინმე დაიმატოთ?**

— სადღეისოდ ახალგაზრდულიდან სამი ფეხბურთელი გვყავს: კანკავა, ალადაშვილი და განუგრავა. თუ ვინმე თავს გამოიჩენს, მასაც აუცილებლად გამოვცდით.

**— ფეხბურთელების დღევანდელი მზადყოფნით კმაყოფილი ხართ?**

— ყველანი ნორმალურ ფორმაში არიან და განწყობაც მომწონს. საერთოდაც, ფეხბურთელი ჩემი გულისთვის არ ჩამოდის ნაკრებში, მან ქვეყანა უნდა ასახელოს, სამშობლოს უნდა ემსახუროს. ჩვენი ერთ-ერთი მიზანია, ბიჭებს პატრიოტული გრძნობა ავუმაღლოთ.

**— და რას ფიქრობთ ყაზახეთთან მატჩზე?**

— ჩვენ მოსაგებად მივდივართ. მართალია, ჩვენ უფრო ნაკრებისთვის სამომავლო საფუძვლის ჩაყრა გვაქვს მიზნად დასახული, თუმცა დღევანდელობაც არაა უმნიშვნელო — დარწმუნებული იყავით, რომ ყველა თამაშზე მოსაგებად გავალთ, სხვაგვარად ვერც წარმომიდგენია.

**კახა შალამბერიძე**

# მჭედელი კობა ჟორჟიკაშვილის გუნდი კადრების სამჭედლოა

**საქართველოს** ეროვნული ნაკრების დარად, საყაზახეთოდ ქვეყნის 21-წლამდელთა ნაკრებიც ემზადებოდა, დღეს დილით კი გაიოზ დარსაძისა და კობა ჟორჟიკაშვილის გუნდები ჩარტერული რეისით ალმათიში გაფრინდნენ.

გუშინ 21-წლამდელებმა აქაური ბოლო ვარჯიში ჩაატარეს. კობა ჟორჟიკაშვილმა თენგიზ სულაქველიძის აკადემიის მოედანზე შეგირდები ორჯერ დატვირთა, დილას და სალამოს.

ჟორჟიკაშვილის საყაზახეთო შემადგენლობაში ცოტა ხნის წინ ჯაბა კანკავა, გიორგი განუგრავა და კახა ალადაშვილი იყვნენ, თუმცა მერე გაიოზ დარსაძემ ამ სამეულს ეროვნულ გუნდში უხმო და ჟორჟიკაშვილს მათი შემცვლელების მოძიება დასჭირდა. დასჭირდა და, 21-წლამდელებს რუსული „ხიმკის" ნახევარმცველი გოგიტა გოგუა, მოსკოვის „ტორპედოში" ახლახან გადასული ბექა ჟღენტი და თბილისური „ლოკომოტივის" გიორგი კახელიშვილი გაჰყვნენ.



გაჩიკო კეთილაძის ფოტო

„დიახ, ვაკანსიები შევავსეთ, ჟღენტი, გოგუა და კახელიშვილი ჩემს გუნდს საკმაოდ გააძლიერებენ" — გვითხრა გუშინ ჟორჟიკაშვილმა.

საქართველოს 21-წლამდელთა ნაკრები ფაქტობრივად ახალი გუნდია და მწვრთნელისთვის ახლა მთავარი საზრუნავი ისაა, ბიჭები შეათამაშოს...

— ამ ნაკრების უმთავრესი ამოცანა ეროვნული გუნდისთვის ფეხბურთელების აღზრდაა. ჯაბა კანკავა, გიორგი განუგრავა და კახა ალადაშვილი მე კი გამოვიძახე, მაგრამ ისინი გაიოზ დარსაძემ ისურვა. გამიხარდება, თუ ჩემი გუნდიდან კიდევ ბევრს აიყვანენ ეროვნულში — ამბობს ჟორჟიკაშვილი.

ახალგაზრდულის მწვრთნელი დარწმუნებულია, რომ ალმათიში მის გუნდს იოლი თამაში არ ელის, ყაზახებმა თურქებს 2:1 მოუგეს და ეს მრავლისმთქმელი ფაქტიაო.

ბოლოს კი კობა ჟორჟიკაშვილის გუნდის საბოლოო შემადგენლობა:

***მეკარეები:*** *ნუკრი რევიშვილი (ტორპედო), რევაზ თევდორაძე (თბილისი);*

***მცველები:*** *გიორგი ხიდეშელი (ზესტაფონი), ზურაბ გვაძაბია, დავით მჭედლიშვილი, გიორგი ელბაქიძე (ყველა ამერი), გულვერდ თომაშვილი (დინამო), ზაალ ელიავა (სკონტო, ლატვია), მათე ღვინიანიძე (ლოკომოტივი, მოსკოვი, რუსეთი);*

***ნახევარმცველები:*** *გოგიტა გოგუა (ხიმკი, რუსეთი), ბექა ჟღენტი (ტორპედო, მოსკოვი, რუსეთი), ირაკლი ჩირიკაშვილი, შოთა გრიგალაშვილი (ორივე დინამო), მირზა ბჟალავა (ამერი), მიხეილ ბესარაშვილი (ზესტაფონი), გოგი ფიფია (თბილისი);*

***თავდამსხმელები:*** *რატი წინამძღვრიშვილი (ამერი), ლადო ლაფერაშვილი, ბექა გოცირიძე (ორივე ზესტაფონი), გიორგი კახელიშვილი (ლოკომოტივი).*

შეგახსენებთ: ყაზახეთისა და საქართველოს 21-წლამდელთა ნაკრებების მატჩი ხვალ იქაური დროით 15 საათზე დაიწყება.

**გიორგი გაზაძიძე**

საქართველოს 17 ჩემპიონატი
პირველი ... წრე
1 ტური
მალაროელი 0:1 საგარეჯო



# მერაბ ჟორდანია: გამოსვლა მეორე

**2005 წლის** 7 აპრილს, ნაშუადღევს, ვაკეში, მრგვალ ბაღთან საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მაშინდელი პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია დააკავეს და ფინანსურ პოლიციაში დაკითხვაზე წაიყვანეს, მოგვიანებით კი წინასწარი დაკავების იზოლატორში გადაიყვანეს.

ფინანსური პოლიცია მერაბ ჟორდანიას თბილისის „დინამოს" პრეზიდენტობის პერიოდში განსაკუთრებით დიდი ოდენობით თანხის მითვისება-გაფლანგვას ედავებოდა.

მოკლედ, ჟორდანიას საქმის გამოძიება დაიწყო და მალე მას სასამართლომ სამთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა. მოგვიანებით აქა-იქ ითქვა, ფედერაციის ყოფილ პრეზიდენტს დღე-დღეზე გაათავისუფლებენო, მაგრამ დრო გადიოდა და...

გუშინწინ, 2005 წლის 13 აგვისტოს, დაკავებიდან ოთხი თვისა და ერთი კვირის თავზე მერაბ ჟორდანია გაათავისუფლეს. გავრცელებული არაოფიციალური ინფორმაციით, მან 20 500 ლარი გადაიხადა გირაოს სახით თავდებით გასათავისუფლებლად, თუმცა იმასაც ამბობენ, „ჟორდანიას საქმეს" გაგრძელება აღარ ექნებაო.

ბარემ აქვე გეტყვით, რომ სარწმუნო წყაროს ცნობით, მალე ციხიდან გამოუშვებენ ეროვნული სტადიონის ყოფილ დირექტორსა და თბილისის ფეხბურთის ფედერაციის ყოფილ პრეზიდენტს ნუკრი კაკილაშვილსაც, რომელიც ჟორდანიაზე ცოტა ხნით ადრე დააკავეს.

**ლუკა თალაკვაძე**

## 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მეორე შესარჩევი ჯგუფი
## ჩვენი მეტოქე

# ყაზახეთი გასახდელში მსოფლიოს ჩემპიონია

## სერგეი ტიმოფეევი: თქვენ მე სულელი ხომ არ გგონივართ?!

*ყაზახეთის ნაკრების მწვრთნელ სერგეი ტიმოფეევთან ინტერვიუ „სარბიელმა" ამ რამდენიმე დღის წინ შემოგთავაზათ. შაბათს კი მან საგანგებო პრესკონფერენცია გამართა.*

*ჩვენც ბევრს აღარ გავაგრძელებთ და ყაზახ ჟურნალისტებთან ტიმოფეევის ნაუბარს სრულად გაგაცნობთ...*

— თამაშამდე სანატორიუმ „კარგალინსკში" ვიცხოვრებთ. ვარჯიშით კი ცეესკას სტადიონზე ვვარჯიშობთ.

**— ფეხბურთელთა ფიზიკური და ფსიქოლოგიური მზადყოფნა გაკმაყოფილებთ?**

— არა უშავთ, ყველა ხალისით ვარჯიშობს.

**— ახლანდელი შეკრება ადრინდელთაგან რით განსხვავდება?**

— არაფრით. სამუშაო ბევრია, შეცდომები ადრეც გვქონდა, ახლაც გვაქვს და მგონია, რომ მომავალშიც გვექნება. ხომ გაგიგიათ, ვინც არ მუშაობს, ის არც ცდება. ასე რომ, სწორედ ამ შეცდომების აღმოფხვრაზე ვმუშაობთ.

**— კერძოდ?**

— ყველაფერზე: ფიზიკა, ტაქტიკა, ფუნქციონალური მომზადება. წინა თამაშებში გამოჩნდა, რომ ტაქტიკურად ჩვენს მეტოქეებთან შედარებით საკმაოდ ჩამორჩენილები ვართ.

**— ნაკრებში ალექსანდრ კუჩმას გამოძახებამ ძალიან გაგვაკვირვა. რატომ მიიღეთ ეს გადაწყვეტილება, მისი თამაში გინახავთ?**

— არ მინახავს. ჩათვალეთ, რომ ის უფრო შესამოწმებლად გამოვიძახეთ. უნდა ვნახოთ, რა შეუძლია. კუჩმა წარმოშობით ქალაქ ჯამბულიდანაა, ჰოდა, შევხედავთ, ვინ იცის, იქნებ სულაც ზინედინ ზიდანია.

**— საქართველოსთან როგორ ფეხბურთს ითამაშებთ, დაცვაზე ორიენტირებულს თუ შემტევს?**

— ვითამაშებთ ისეთს, რომელიც დადებით შედეგს მოგვიტანს, ანუ მოგებაზე. მოსაგებად კი დაცვითი ტაქტიკის არჩევაც მისაღებია და შემტევისაც. მაგრამ ერთიცაა, შეტევაში თავქუდმოგლეჯილები არ წავალთ — საქართველოს ნაკრები ძლიერი გუნდია და წამსვე დაგვსჯის. გადახედეთ მის შემადგენლობას, ვინ სად, რომელ კლუბში თამაშობს და მერე ჩვენი ნახეთ.

**— ჩანს, საგანგებო ტაქტიკა მოგიფიქრებიათ. საქართველოს ნაკრებზე რა იცით?**

— მათი თამაში ვნახე და მინდა, გითხრათ, რომ სერგეი ტიმოფეევი ახალ ველოსიპედს ნამდვილად ვერ გამოიგონებს. ჩვენი სქემა 4-4-2 იქნება. სამი მცველით ნამდვილად ვერ ვითამაშებთ, ბიჭები საამისოდ დღეს მზად არ არიან, ფიზიკურად მოიკოჭლებენ.

**— ძირითადში ვის დააყენებთ, უკვე მოიფიქრეთ?**

— ჯერ ადრეა ამაზე ლაპარაკი, დრო კიდევ არის და შევხედავ, ვარჯიშებზე თავს როგორ გამოიჩენენ. ერთიცაა, ფეხბურთელი თუ ყაზახეთის ჩემპიონატშია მაგარი, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ძირითადში ადგილი გარანტირებული აქვს. საერთაშორისო და, მით უმეტეს, სანაკრებო დონე სხვაა. სამწუხაროდ, საერთაშორისო დონის ვარსკვლავი არ გვყავს და მე აქ ვერაფერს ვიზამ.

**— თქვენ ნაკრებში გამოიძახეთ შაკინი, კენჟეხანოვი, ზუევი, ლორია, ხოხლოვი, ჟუმასკალიევი, მაგრამ მათგან უფრო ახალგაზრდების, შაკინისა და კენჟეხანოვის გეიმედებათ, რატომ?**



— დიახ, მეიმედება და არ მესმის, გუნდის გაახალგაზრდავების თუ გადახალისების გამო მუდამ რატომ მაკრიტიკებთ. მერწმუნეთ, ჩვენ ისინი ახლავე უნდა ვათამაშოთ, რათა საერთაშორისო გამოცდილება აქედანვე შეიძინონ. ეს ხომ ჩვენი მომავალია. ერთსაც გეტყვით, თქვენ მათზე სულ იმას წერთ და ამბობთ, ჭაბუკები არიანო, არადა, ისინი უკვე ჩამოყალიბებული კაცები არიან. კონფედერაციათა თასის მატჩებს ხომ უყურეთ? ბრაზილიის, გერმანიისა და არგენტინის ნაკრებებში სწორედ 18-20 წლის ბიჭები თამაშობდნენ. გამოდის, რომ პარეირა, კლინსმანი და პეკერმანი გიჟები არიან, ამ ასაკის ფეხბურთელებს რომ იწვევენ ეროვნულ გუნდში...

**— საბჭოეთის დროს თუ გავიხსენებთ, ალმათიში ქართველებს ვუგებდით კიდეც...**

— კი, ვუგებდით, მაგრამ მაშინ სხვა დრო იყო, კარგი ფეხბურთელებიც გვყავდა და იმ დროს სხვა ფეხბურთსაც ვთამაშობდით. დღეს კი რა ხდება? ყველა წინ მიიწევს, ჩვენ კი ერთ ადგილს ვტკეპნით.

**— ხომ არ აჯობებდა, დღევანდელ ნაკრებში სწორედ ის ვეტერანები მოგეწვიათ?**

— რას მეუბნებით, ისინი ვათამაშო?

**— ცხადია, არა. ბიჭებს დაელაპარაკებოდნენ, ფსიქოლოგიურად მოამაგრებდნენ...**

— და თქვენ გგონიათ, რომ საქმე მარტო ფსიქოლოგიაშია? ახლა ისე მინდა თამაში, მინდორზე რომ გავიდე, დავგლეჯ ყველაფერს, მაგრამ რა, 10-15 წუთი და ტიმოფეევი უკვე გამოფიტული იქნება. ასევე არიან დღეს ჩვენი ნაკრების ფეხბურთელებიც: რომ ნახოთ, თამაშამდე რა ხდება ჩვენს გასახდელში, უეჭველად იფიქრებთ, ესენი მსოფლიოს ჩემპიონები როგორ არ არიანო. რა თქმა უნდა, მონდომება და სურვილი კარგია, მაგრამ როცა თავს ზემოთ ძალა არაა... ესენიც, ჩემი არ იყოს, ხუთ-ათ წუთს ირბენენ და მორჩა, გაუქრებათ სურვილიც, ჟინიც და ემოციაც.

**— რისი თქმა გინდათ, ხუთ-ათ წუთში გადაიწვებიან?**

— ფიზიკურად მოვიკოჭლებთ და თანაც ძალიან. მოდით, ვიყოთ გულახდილნი: თქვენ აშუქებთ ჩვენს ეროვნულ ჩემპიონატს. კმაყოფილი ხართ? არა. უმაღლესი დონის ფეხბურთია? არა. ტემპი არის? არა. მთავარი და ყველაზე გულსატკენი ფაქტი კი ისაა, რომ ჩვენს ჩემპიონატში მონაწილე ფეხბურთელთა უმრავლესობა ფიქრობს, ვივარჯიშებ ნახევარი ძალით, საკმარისია და მერე თამაშში ყველაფერს ჩავაქსოვ. როგორ ჩააქსოვ, როცა მოუმზადებელი ხარ?!

**— თქვით, ფიზიკურად მოვიკოჭლებთო და, რას აკეთებთ ამის გამოსასწორებლად?**

— თქვენ მე სულელი ხომ არ გგონივართ?! ერთ კვირაში ფეხბურთელი ფიზიკურადაც მოვამზადო, ტაქტიკურადაც და ტექნიკურადაც? მე რომ მოთამაშეებს ნაკრებში ვიწვევ, ისინი კლუბებიდან უნდა მოდიოდნენ მომზადებულნი.

**— საქართველოს ნაკრები შეისწავლეთ? რას უნდა ველოდოთ მისგან?**

— ბურთი იციან ძალიან კარგად, მაღალი დონის ინდივიდუალისტები ჰყავთ. მაგალითად, თურქეთის ნაკრებს ქართველები სისწრაფეში ჩამორჩნენ, სათამაშო კლასით კი, პირიქით, აჯობეს. ფაქტია, საქართველოს ნაკრები დღეს ჩვენზე გაცილებით ძლიერია, ჩვენი უპირველესი ნაკლი კი ის გახლავთ, რომ ორთაბრძოლებს გავურბივართ, ბურთისართმევა არ ვიცით. ეს კი თანამედროვე ფეხბურთში აუცილებელია. ისინი თავიანთ თამაშს მოგვახვევენ თავს, ერთი-ორი ფინტი და მორჩა, მერე უკვე აღარც გვეცოდინება, რა უნდა მოვიმოქმედოთ.

**— მაინც რა უნდა დაუპირისპიროთ ქართველებს?**

— ასე ვიტყვი: მკაცრი სათამაშო დისციპლინა და კონცენტრაცია უმაღლეს დონეზე. მოახერხებენ ბიჭები ამას? მაშინ წარმატებაზე ფიქრიც შეგვეძლება...

**— თქვენი აზრით, საქართველოსთან თამაში თქვენს ბედსაც გადაწყვეტს?**

— ეს ჩემი კომპეტენცია არაა. ფედერაციის ხელმძღვანელობამ უნდა გადაწყვიტოს. თუ ჩათვლიან საჭიროდ რომ დამტოვონ, დავრჩები, არადა, სხვა მოვა. ფედერაციის მადლობელი ვარ, შანსი რომ მომცა. სერგეი ტიმოფეევმა, როგორც მწვრთნელმა, უკვე ძალიან ბევრი ნახა და ისწავლა ამ ორი წლის მანძილზე. დიდი გამოცდილება შევიძინე, მაგრამ ვატყობ, ჩემი უნარი შედეგს არ ჰყოფნის. მინდა, კარგი მწვრთნელი გავხდე და დარწმუნებული ვარ, გავხდები კიდეც. კარგად ვიცი, ჩემზე რასაც ფიქრობენ და ამბობენ, ტიმოფეევი მოღალატეა, თავის დროზე რუსეთში წავიდა და მერე ქედმაღლურად დაბრუნდა ყაზახეთშიო. ტიმოფეევი მოღალატე ნამდვილად არაა, ტიმოფეევი რუსეთში ყაზახეთის ელჩი გახლდათ, ყაზახური ფეხბურთის განვითარებას ემსახურებოდა. დღეს ყაზახურ ფეხბურთს ბალტიევით, ფამილცევით, ტიმოფეევით იცნობენ, იმიტომ, რომ ტიმოფეევმა რუსეთში რაღაცას მიაღწია — რუსეთის ჩემპიონი გახდა.

**— მაგრამ თქვენვე არ ამბობთ, ყაზახეთში ფეხბურთი არ არისო?**

— თუ ჩვენ ფეხბურთს სერიოზულად მივხედავთ, ის მარილიც გვექნება, თორემ თუ ასე ვისხედით, მხოლოდ ვილაპარაკებთ და საქმეს არ გავაკეთებთ, არაფერი გამოვა. სამწუხაროა, მაგრამ ასეა, ლაყბობა ბევრი ვიცით, საქმე კი ცოტა.

## ინგლისი

### პრემიერლიგა. 1 ტური

#### ვესტ ჰემი 3:1 ბლეკბერნი

0:1 ტოდი (18), 1:1 შერინგემი (46), 2:1 რეოკოკერი (62), 3:1 ეტერინგტონი (80)
ვესტ ჰემი: კეროლი, გაბიდონი, ფერდინანდი, დეილი, კონჩესკი, რეოკოკერი, ბენაიუნი, მულინსი (ნობლი 84), ეტერინგტონი, ჰარვუდი, შერინგემი (ნიუტონი 72)
მწვრთნელი: ალან პედრიუ
ბლეკბერნი: ფლიდელი, ნილი, ტოდი, მოკოენა (დიკოვი 72), ემერტონი, მატეო, სევიჯი, რიდი, პედერსენი, კუკი (გრეშკო 55), ბელამი
მწვრთნელი: მარკ ჰიუზი
გაფრთხილება: სევიჯი
გაძევება: დიკოვი (81)
მსაჯი: ვაილი
33 305 მაყურებელი

#### ევერტონი 0:2 მანჩესტერი

0:1 ვან ნისტელროი (43), 0:2 რუნი (46)
ევერტონი: მარტინი, ვეირი, იობო, ჰიბერტი, პისტონე, ფ. ნევილი, ს. დევისი (კილბეინი 76), არტეტა, ოსმანი (დ. ფერგიუსონი 64), ჩეჰილი, ჯ. ბიტი
მწვრთნელი: დევიდ მოიესი
მანჩესტერი: ვან დერ სარი, რ. ფერდინანდი, გ. ნევილი, სილვესტრი, ოში, ფლეტჩერი (ჰაინცე 72), რ. კინი, სქოულზი (ა. სმიტი 81), პარკი (რიჩარდსონი 85), რუნი, ვან ნისტელროი
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
გაფრთხილება: ფ. ნევილი, პისტონე, არტეტა, სქოულზი
მსაჯი: პოლი
38 610 მაყურებელი

#### მიდლსბრო 0:0 ლივერპული

მიდლსბრო: შვარცერი, საუთგეიტი, ეჰიოგუ, რაიციგერი, კედრუ, პარლოორი, მენდიეტა (ნემეტი 65), ბოატენგი, დაუნინგი, იაკუბუ (ბეიტსი 75), ჰასელბაინკი (ვიდუკა 67)
მწვრთნელი: სტივ მაკლარენი
ლივერპული: რეინა, ჰიუპია, კარაგერი, ფინანი, ვორნოკი, სისოკო, ჯერარდი, ლუის გარსია (სისე 57), ალონსო, ზენდენი, მორიენტესი (ბაროში 67)
მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი
გაფრთხილება: პარლოორი, კედრუ, ლუის გარსია, ალონსო, სისოკო
გაძევება: ეჰიოგუ (74)
მსაჯი: ჰელსი
31 908 მაყურებელი

#### სანდერლენდი 1:3 ჩარლტონი

0:1 დ. ბენტი (11), 1:1 გრეი (32), 1:2 მერფი (64), 1:3 დ. ბენტი (90)
სანდერლენდი: კ. დევისი, ბრინი, ს. რაიტი (ნოსუორთი 80), კოლდვილი, არკა, ვაითჰედი, მილერი, რობინსონი (ლოურსენი 61), ველში (ელიოტი 79), გრეი, სტიდი
მწვრთნელი: მიკ მაკარტი
ჩარლტონი: ანდერსენი, იუნგი, ჰრეიდარსონი, პერი, პოუელი, მერფი, კიშიშევი, სმერტინი (ბ. ჰიუზი 88), რომედალი (ტომასი 58), ამბროუზი, დ. ბენტი
მწვრთნელი: ალან კერბიშლი
გაფრთხილება: არკა, რაიტი
გაძევება: ამბროუზი (55)
მსაჯი: ვები
34 446 მაყურებელი

#### ასტონ ვილა 2:2 ბოლტონი

1:0 ფილიპსი (4), 1:1 კ. დევისი (6), 1:2 კამპო (8), 2:2 სტ. დევისი (9)
ასტონ ვილა: სორენსენი, ა. ჰიუზი, ლაურსენი, მელბერგი, სამოელი, სოლანო, სტ. დევისი, ბერი, მაკკანი, ანხელი, ფილიპსი
მწვრთნელი: დევიდ ოლირი
ბოლტონი: იასკალაინენი, ჰანტი, ჯაიდი, ბენჰაიმი, გარდნერი, ნოლანი, კამპო (რუკოჩა 55), სპიდი, კ. დევისი, დიუფი, პედერსენი
მწვრთნელი: სემ ალარდაისი
გაფრთხილება: დიუფი, ბენ ჰაიმი
მსაჯი: რაილი
33 263 მაყურებელი

# საფეხბურთო გაკვეთილი უიგანისთვის



ევერტონი — მანჩესტერი 0:2. მანჩესტერელთა დებიუტანტი ჭი სუნ პარკი ევერტონელ ალესანდრო პისტონეს გადაახტა

#### სიტი 0:0 ვესტ ბრომვიჩი

სიტი: ჯეიმსი, ტეტჩერი, მილსი, ჯორდანი, სომილი, სინკლერი (კროფტი 85), რეინა, ბარტონი, მუსამპა (სიბერსკი 90), ენდი კოული, ვასელი (ბ. რაიტ-ფილიპსი 70)
მწვრთნელი: სტიუარტ პირსი
ვესტ ბრომვიჩი: კირკლანდი, გერდსოუ, ალბრეხსტენი, კლემენი, რობინსონი, გრინინგი (უოტსონი 80), ვოლვორკი (ჩეპლოუ 90), გერა, ინამოტო, კ. კემპბელი, კანუ (დ. კამარა 60)
მწვრთნელი: ბრაიან რობსონი
გაფრთხილება: მილსი, ვასელი, გერდსოუ, კამარა, ვოლვორკი
მსაჯი: ფოი
42 983 მაყურებელი

#### პორტსმუთი 0:2 ტოტენჰემი

0:1 გრიფინი (45ს.კ.), 0:2 დეფო (64)
პორტსმუთი: ვესტერველდი, ობრაიანი, გრიფინი, სტეფანოვიჩი, ვინალი, მორნარი (პერიკარი 45), ვიაფარა (მ. ტეილორი 69), რ. ჰიუზი, რობერი, ლუალუა, კარადაში (მბესუმა 74)
მწვრთნელი: ალან პერინი
ტოტენჰემი: რობინსონი, დოუსონი, სტალტერი, გარდნერი, ედმანი, რუტვიჯი (მენდეში 70), ტაინიო, კარიკი, რიდი, მიდო (კანტი 81), დეფო
მწვრთნელი: მარტინ ონილი
გაფრთხილება: ტაინიო, რიდი
მსაჯი: ნაითი
20 215 მაყურებელი

#### ფულემი 0:0 ბირმინგემი

ფულემი: უორნერი, ვოლცი, ზ, ნაითი, რემანი, ნ. იენსენი, მალბრანკი, კ. იენსენი, ლეგვინსკი (ელრიხი 90), ბოა მორტე, მაკბრაიდი, რაძინსკი (ჯონი 45)
მწვრთნელი: კრის კოულმენი
ბირმინგემი: მ. ტეილორი, მელხიოტი, აპსონი, კანინგემი, კლაპამი, პენანტი, ბატი, კლემენსი, ჯ. გრეი, ჰესკი (მორისონი 87), პანდიანი (ფორსელი 71)
მწვრთნელი: სტივ ბრიუსი
გაფრთხილება: ლეგვინსკი, კლემენსი, აფსონი
მსაჯი: სტაილსი
16 550 მაყურებელი

#### არსენალი 2:0 ნიუკასლი

1:0 ანრი (81პ), 2:0 ვან პერსი (87)
არსენალი: ლემანი, ტურე, ლორენი, კოული, სენდეროსი, ჟილბერტო, ლიუნგბერგი, ფაბრეგასი (გლები 72), პირესი (ფლამინი 84), ბერხკამპი (ვან პერსი 72), ანრი
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
ნიუკასლი: გივენი, ბუმსონგი, ტეილორი, ბაბაიარო, კარი, დაიერი (ნზოგბია 69), ჯენასი, ემრე, პარკერი (ფეიე 82), ბოიერი, შირერი (მილნერი 72)
მწვრთნელი: გრემ სუნესი
გაფრთხილება: ბუმსონგი
გაძევება: ჯენასი (32)
მსაჯი: ბენეტი
38 072 მაყურებელი

#### უიგანი 0:1 ჩელსი

0:1 კრესპო (90)
უიგანი: პოლიტი, დე ზეევი, ჩიმბონდა, ანშო, ბაინესი, ტილი, ბულარდი, ფრენსისი, მაჰონი, რობერტსი, კამარა (იოჰანსონი 86)
მწვრთნელი: პოლ ჯიუელი
ჩელსი: ჩეხი, გალასი, ტერი, პ. ფერეირა, დელ ორნო, მაკელელე, დაფი (კრესპო 59), ლამპარდი, რობენი (რაიტ-ფილიპსი 45), გუდიონსენი (ჯო კოული 45), დროგბა
მწვრთნელი: ჟოზე მაურინიუ
გაფრთხილება: მაჰონი
მსაჯი: კლეტენბურგი
23 575 მაყურებელი

**პრემიერლიგა** დაიწყო! დაიწყო ისე, როგორც ეკადრებოდა. თუმც არცთუ ბევრი გოლი და რამდენიმე უსახური მატჩი მაინც მოხვდებოდა კაცს თვალში. სამაგიეროდ, თითქმის ყველა შეხვედრა უაღრესად დაძაბული გამოდგა.

როგორც ჩანს, „ევერტონს" გასული სეზონის განწყობა არ გამოჰყოლია, ყოველ შემთხვევაში, ლივერპულელებმა ჩემპიონთა ლიგაში „ვილიარეალის" შემდეგ ზედიზედ მეორე მატჩი წააგეს შინ. მეტოქე ამჯერადაც ძლიერი იყო — „მანჩესტერ იუნაიტედი". ალექს ფერგიუსონის შეგირდებმა მშვენიერი შთაბეჭდილება დატოვეს.

შეხვედრის დებიუტიდანვე უპირატესობა სტუმრებისა იყო, თუმც საწყის წუთებში „წითელ ეშმაკებს" აშკარა საგოლე მომენტი არ ჰქონიათ. რამდენჯერაც ბურთს ყოფილი ევერტონელი უეინ რუნი მიიღებდა, „გუდისონ პარკზე" შეკრებილი მრავალრიცხოვანი ქომაგების უმეტესობა გუგუნს იწყებდა.

„ტკბილეულთა" ფანები პირველი ტაიმის შუაწელსაც აგუგუნდნენ, როდესაც ტიმ ჩეჰილმა ბურთს მძლავრად დაჰკრა თავი და თითქოს გოლი გარდაუვალი იყო, მაგრამ ედვინ ვან დერ სარმა ჩინებული რეაქცია გამოავლინა და თავისი გუნდი აშკარა გოლისგან იხსნა. მთლიანობაში ვეტერანი ჰოლანდიელი გოლკიპერის დებიუტი წარმატებული გამოდგა, როგორც კორეელი ჯი სუნ პარკისა.

კარგი შანსი ჰქონდა მარკუს ბენტსაც, მაგრამ მისი დარტყმული კარს გადასცდა. შემდეგ კი ისევ სტუმრები გააქტიურდნენ.

ის-ის იყო, ყველამ იფიქრა, პირველი ტაიმი უგოლოდ დასრულდებაო, რომ რუნი-ოში-ნისტელროის მშვენიერ კომბინაციას უკანასკნელის ზუსტი დარტყმა მოჰყვა.

მეორე ნახევარი 30 წამის დაწყებულიც არ იყო, როდესაც იოზეფ იობო საშინლად შეცდა და მატჩის ბედიც გადაწყვიტა. მან უეინ რუნის აჩუქა ბურთი, რომელიც ინგლისელმა ფორვარდმა ჩინებულად ისარგებლა.

დარჩენილ დროში განსაკუთრებული არაფერი მომხდარა. დამატებულ წუთებზე გოლის გატანა შეეძლო შეტევაში ჩართულ გარი ნევილს, მაგრამ ვარდნაში დაუცველ კუთხეში ბურთი ვერ მოათავსა. მისმა ძმამ ფილმა კი კარიერაში პირველად იბურთავა „მანჩესტერის" წინააღმდეგ.

„ვიცოდით, რომ რთული მატჩი გველოდა. აქედან 3 ქულის წაღება ძალიან ძნელია, მაგრამ ჩვენ ეს მოვახერხეთ. მინდა, განსაკუთრებით ედვინ ვან დერ სარი შევაქო, რომელმაც რამდენჯერმე გადაგვარჩინა, ასევე პარკი და ვან ნისტელროი. კარგად დავიწყეთ. რაც გასულ სეზონში მოხდა, აღარ უნდა განმეორდეს, ქულების უაზროდ დაკარგვა არ შეიძლება" — თქვა ფერგიუსონმა.

„ცუდად არ გვითამაშია, უბრალოდ, შედეგია სამწუხარო. იმედია, მალე ესეც გამოსწორდება" — აღნიშნა „ევერტონის" თავკაცმა დევიდ მოიესმა.

„ლივერპულის" ლიდერი და კაპიტანი სტივენ ჯერარდი კინაღამ ტყავიდან გაძვრა, მაგრამ თავის გუნდს მაინც ვერ მოაგებინა. „მიდლსბრომ" ბოლო 15 წუთი სულაც 10 კაცით ჩაატარა, რითაც ლივერპულელებმა ვერ ისარგებლეს. მეტიც, ბოლო წუთებზე კინაღამ „რივერსაიდის" ბინადრებმა შეაგდეს გამარჯვების გოლი.

გუნდებს მაინცდამაინც კარგად არ უბურთავიათ. ფანტაზია ორივეს იერიშებს აკლდა. თუმც სახიფათო მომენტების სიხალვათე ნამდვილად არ ყოფილა. უფრო ახლოს მიზანთან მერსისაიდელები იყვნენ, მაგრამ...

„ჯერარდმა კარგად ითამაშა და რამდენიმე საგოლე მომენტიც ჰქონდა, თუმც ვერ გაიტანა. არა უშავს, ახლა მთავარია, ეს მატჩი დაივიწყოს და მომავალზე იფიქროს. დაცვაში კარგად გამოვიყურებოდით, რაც მახარებს. ასევე მინდა, შევა-

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 ჩარლტონი | 1 | 1 | 0 | 0 | 3:1 | 2 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 3:1 | 2 | 3 |
| 2 ვესტ ჰემი | 1 | 1 | 0 | 0 | 3:1 | 2 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 3:1 | 2 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 3 არსენალი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 2 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 2 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 4 ტოტენჰემი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 2 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 2 | 3 |
| 5 მანჩესტერი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 2 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 2 | 3 |
| 6 ჩელსი | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 1 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 1 | 3 |
| 7 ასტონ ვილა | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 8 ბოლტონი | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 |
| 9 სიტი | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 10 მიდლსბრო | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 11 ლივერპული | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 |
| 12 ფულემი | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 13 ვესტ ბრომვიჩი | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 |
| 14 ბირმინგემი | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 |
| 15 უიგანი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | -1 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | -1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 16 სანდერლენდი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:3 | -2 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:3 | -2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 17 ბლეკბერნი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:3 | -2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:3 | -2 | 0 |
| 18 ევერტონი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | -2 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | -2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 19 პორტსმუთი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | -2 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | -2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 20 ნიუკასლი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | -2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | -2 | 0 |




უიგანი — ჩელსი 0:1. ლონდონელი ლამპარდის მალაყი უიგანელი დე ზეევის ზურგზე

ქო ჩვენი ახალი მეკარე ხოსე რეინა" — განაცხადა „ლივერპულის" მთავარმა მწვრთნელმა რაფაელ ბენიტესმა.

„ასტონ ვილამ" და „ბოლტონმა" ყველაფერი პირველ 10 წუთში მოამთავრეს. ხუთწუთიან მონაკვეთში ორ-ორი ბურთი გაცვალეს და დარჩენილ დროში მაყურებლები ძირითადად სტუმრების გაუთავებელ ჩაწოდებებს უცქერდნენ. „ბოლტონის" გარკვეული უპირატესობის მიუხედავად, ანგარიში აღარ შეცვლილა.

ანგარიში მეოთხე წუთზე კევინ ფილიპსმა გახსნა. ვეტერან ფორვარდს საგოლე ალღო ჯერაც არ დაუკარგავს. სტუმრებმა უცებ გაათანაბრეს და მალევე ივან კამპოს თავურით დაწინაურდნენ კიდეც, მაგრამ სიხარული, მასპინძლების დარად, სულ ცოტა ხანს დასცალდათ.

სეზონის პირველ ლონდონურ დერბიში „ტოტენჰემმა" იმარჯვა. მარტინ იოლის გუნდი „პორტსმუთის" წინააღმდეგ ურიგოდ არ გამოიყურებოდა და მშვიდადაც მიითვალა 3 ქულა.

კიდევ ერთმა დედაქალაქურმა კლუბმა, „ვესტ ჰემმა" პრემიერლიგაში დაბრუნება დამაჯერებელი თამაშით და „ბლექბერნის" ძლევით აღნიშნა. მასპინძელთაგან თავი გამოიჩინა ვეტერანმა ტედი შერინგემმა. საბოლოოდ ლონდონელთა წაგებული პირველი ტაიმის მერე 3:1 იმარჯვეს.

ამავე ანგარიშით საკუთარ კედლებში დამარცხდა ასევე უმაღლეს ლიგაში დაბრუნებული „სანდერლენდი". მასპინძლები ბევრს ეცადნენ, მაგრამ დენი მერფის გოლით „ჩარლტონმა" მათი გატეხვა მაინც შეძლო.

კვირას კი ტურის დარჩენილი ორი მატჩი გაიმართა. „არსენალმა" საკუთარ „ჰაიბერიზე" ბევრი იწვალა და საბოლოოდ მაინც მოახერხა 32-ე წუთიდან 10 კაცით მოთამაშე „ნიუკასლის" წაქცევა.

„მეთოფეებს" მხსნელად ისევ ტიერი ანრი და ფრედი ლიუნგბერგი მოევლინათ. 81-ე წუთზე ფრანგმა შვედის წაქცევისთვის დანიშნული პენალტი აქცია გოლად, შემდეგ კი რობინ ვან პერსიმ იმავე ლიუნგბერგის ჩაწოდება დააგვირგვინა — 2:0.

მსაჯობით უკმაყოფილო „კაჭკაჭების" თავკაცი გრემ სუნესი კი პროტესტის ნიშნად მატჩის შემდეგ პრესკონფერენციაზე არ გამოცხადდა.

ქვს გული უნდა გქონდეს კაცსრომ პრემიერლიგის დებიუტანტი „უიგანი" არ შეგეცოდოს.პოლ ჯიუელის შეგირდებმა მთელი 90 წუთის მანძილზე თავი არ დაზოგეს და ქულა მათზე ალალი იყო, მაგრამ კლასმა მაინც თავისი გაიტანა...

არც ისე შთამბეჭდავად მობურთალმა „ჩელსიმ" ყოზე მაურინიო გვარიანად ანერვიულა და სანუკვარი გოლი მესამე დამატებულ წუთზე შეაგდო. ეს ერნან კრესპომ გააკეთა — არგენტინელს დიდიე დროგბამ ბურთი თავით დაუგდო, მანაც მცირე პაუზისა და ცრუ მოძრაობის შემდეგ ჩინებული დარტყმით იგი მეტოქის შორეულ მაღალ კუთხეში მოათავსა.

არადა იქამდე, სულ ცოტა ხნით ადრე ორჯერ ჩინებული შანსი ჰქონდა მასპინძელთა ფორვარდს იოჰანსონს, მაგრამ ალბათ ესეც უკლასობის ბრალია, რომ მასპინძელთა ფორვარდი ორივეჯერ დაიბნა და... ვერ გაიტან, გაგიტანენ.

**გიორგი ძაძამიძე**

### II ტური
20-21 აგვისტო

| | | |
|---|---|---|
| ბირმინგემი | : | სიტი |
| ბლექბერნი | : | ფულემი |
| ბოლტონი | : | ევერტონი |
| ჩარლტონი | : | უიგანი |
| ჩელსი | : | არსენალი |
| ლივერპული | : | სანდერლენდი |
| მანჩესტერი | : | ასტონ ვილა |
| ნიუკასლი | : | ვესტ ჰემი |
| ტოტენჰემი | : | მიდლსბრო |
| ვესტ ბრომვიჩი | : | პორტსმუთი |

## ჩემპიონატი
### III ტური

**კარდიფი 1:3 უოტფორდი**
0:1 კინგი (7), 0:2 ჰენდერსონი (52), 0:3 კინგი (67), 1:3 ჯერომი (80)

**ბრაიტონი 2:2 ძრიუ**
1:0 ლ.ნაითი (42), 1:1 რივერსი (77), 1:2 ჰიგდონი (83), 2:2 ჰამონდი (88)

**ბარნლი 4:0 ძოვენთრი**
1:0 როკონორი (28), 2:0 გ. ტომასი (37), 3:0, 4:0 აკინბაი (87, 90)

**ლესტერი 0:0 იფსვიჩი**

**ლუთონი 0:0 ლიდსი**

**მილუოლი 0:1 სტოკი**
0:1 ჰოლსი (38)

**ნორვიჩი 1:1 კრ. პალასი**
1:0 ეშტონი (6), 1:1 ა. ჯონსონი (42)

**პლიმუთი 0:2 დერბი**
0:1 რასიკი (20), 0:2 ბისგაარდი (39)

**პრესტონი 0:3 რედინგი**
0:1, 0:2 ლიტა (34, 46), 0:3 ჯ. ლიტლი (57)

**ძპრ 2:1 შეფილდი**
1:0 ბირკამი (56), 2:0 მური (90), 2:1 კაბა (90)

**უენსდი 0:1 საუთჰემპტონი**
0:1 ჯონსი (22)

**ვულვზი 1:0 ჰალი**
1:0 დ. დილანი (19ს.კ.)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლუთონი | 3 | 2 | 1 | 0 | 5:3 | 7 |
| ქუინზ პარკი | 3 | 2 | 1 | 0 | 4:2 | 7 |
| ვულვზი | 3 | 2 | 1 | 0 | 3:1 | 7 |
| რედინგი | 3 | 2 | 0 | 1 | 6:2 | 6 |
| შეფილდი | 3 | 2 | 0 | 1 | 7:4 | 6 |
| დერბი | 3 | 1 | 2 | 0 | 4:2 | 5 |
| ქრიუ | 3 | 1 | 2 | 0 | 5:4 | 5 |
| უოტფორდი | 3 | 1 | 1 | 1 | 7:6 | 4 |
| საუთჰემპტონი | 3 | 1 | 1 | 1 | 3:3 | 4 |
| ლიდსი | 3 | 1 | 1 | 1 | 3:3 | 4 |
| იფსვიჩი | 3 | 1 | 1 | 1 | 2:2 | 4 |
| ლესტერი | 3 | 1 | 1 | 1 | 5:6 | 4 |
| პლიმუთი | 3 | 1 | 1 | 1 | 5:6 | 4 |
| სტოკი | 3 | 1 | 1 | 1 | 3:4 | 4 |
| პრესტონი | 3 | 1 | 1 | 1 | 3:5 | 4 |
| ბარნლი | 3 | 1 | 0 | 2 | 6:4 | 3 |
| ნორვიჩი | 3 | 0 | 3 | 0 | 3:3 | 3 |
| კარდიფი | 3 | 1 | 0 | 2 | 3:5 | 3 |
| უენსდი | 3 | 0 | 2 | 1 | 1:2 | 2 |
| ჰალი | 3 | 0 | 2 | 1 | 1:2 | 2 |
| ბრაიტონი | 3 | 0 | 2 | 1 | 3:5 | 2 |
| ქოვენთრი | 3 | 0 | 2 | 1 | 1:5 | 2 |
| კრ. პალასი | 3 | 0 | 1 | 2 | 3:5 | 1 |
| მილუოლი | 3 | 0 | 1 | 2 | 1:3 | 1 |

## პირველი ლიგა
### III ტური
ტრანმერი — ოლდემი 4:0; ბრედფორდი — დონსი 2:0; ბორნმუთი — ბრისტოლი 2:0; კოლჩესტერი — ბარნსლი 1:0; ჩესტერფილდი — როტერჰემი 0:1; დონკასტერი — ჰარტლპული 0:1; ჰადერსფილდი — სუონსი 3:1; სკანთორპი — ჯილინგემი 1:1; სუინდონი — ნოტინგემი 2:1; უოლსოლი — საუთენდი 2:2; იოვილი — ბლექპული 1:1

## მეორე ლიგა
### III ტური
ბოსტონი — სტოკპორტი 2:2; ბერი — შრიუსბერი 2:0; როვერსი — პიტერბრო 2:3; კარლაისლი — ბარნეტი 1:3; დარლინგტონი — ლეიტონი 0:1; მენსფილდი — ტორკი 3:0; ნორთჰემპტონი — რექსემი 0:0; ნოტსი — ლინკოლნი 2:1; ოქსფორდი — უიკომბი 2:2; როჩდეილი — ჩელტენემი 1:1; *მაკსფილდი — რაშდენი და ჩესტერი — გრიმსბი გადაიდო*

## კონფერენსლიგა
### I ტური
აკრინგტონი — კონვი 1:0; ალდერშოტი — ტემუორთი 0:2; ბარტონი — გრეისი 1:1; დაგენემი — საუთპორტი 3:1; ფორესტ გრინი — კემბრიჯი 1:0; გრეივსენდი — ექსეტერი 0:2; ჰერეფორდი — სკარბორო 4:0; კიდერმინსტერი — უოკინგი 2:1; მორიკემბი ჰალიფაქსი 1:0; სტივენეიჯი — ალტრინჩემი 4:0; იოკრი — ქროული 0:0

# ტომპსონები
## აბერდინმა რეინჯერსი გაჩაფრა

## შოტლანდია
### პრემიერლიგა. III ტური

**სელტიკი 3:1 ფოლკირკი**
0:1 დ. დაფი (39 პ), 1:1 ჰართსონი (49), 2:1, 3:1 ტომპსონი (75, 90)

**დანფერმლაინი 0:1 ინვერნესი**
0:1 ფოქსი (42)

**ჰიბერნიანი 3:0 ლივინგსტონი**
1:0 მერფი (40), 2:0 შილდსი (42), 3:0 ოკონორი (53)

**კილმარნოკი 4:1 მოზერუელი**
1:0 ჯონსტონი (12), 2:0 ბოიდი (19), 2:1 კლარკსონი (42), 3:1 მაკდონალდი (61), 4:1 ბოიდი (73)

**აბერდინი 3:2 რეინჯერსი**
1:0 რ.ანდერსონი (30), 2:0 ლოველი (37), 2:1 პრსო (39), 2:2 ლოვენკრადსი (49), 3:2 ჯ. სმიტი (88)

**დანდი იუნ. 0:3 ჰართსი**
0:1 კრის ლი (6), 0:2 ბედნარი (12), 0:3 შკასელი (90)



აბერდინი — რეინჯერსი 3:2.
ჯეიმი სმიტის გოლმა „აბერდინს" მოაგებინა

**შოტლანდიური** პრემიერლიგის დებიუტანტმა „ფოლკირკმა" გაბედა და „სელტიკს" გლაზგოში პირველი ტაიმი მოუგო, მაგრამ შესვენების შემდეგ მასპინძლებმა იძალეს და სამი ქულა მიითვალეს.

„ფოლკირკი" დერილ დაფმა პენალტით დააწინაურა, რომელიც სტუმარი სტივენ ტომპსონის წაქცევისთვის დანიშნეს. გლაზგოურ მატჩში სამმა ტომპსონმა ითამაშა. „სელტიკს" ჰყავს ალანი, „ფოლკირკს" კი ენდი და სტივენ ტომპსონები.

ალანი მსაჯსაც ეჩხუბა, ყვითელი ბარათიც მიიღო და დუბლიც შეასრულა, არადა მეორე ტაიმის დასაწყისში ისე უხეიროდ დაეხეტებოდა მოედანზე, რომ გორდონ სტრაჩანი შეცვლას უპირებდა. მოედნის კიდესთან მწვრთნელის დანახვის შემდეგ სელტიკელმა ტომპსონმა იკადრა და ორი გოლი გაიტანა, მანამდე კი ანგარიში ჯონ ჰართსონმა გაათანაბრა.

„აბერდინს" „რეინჯერსისთვის" 1998 წლის შემდეგ არ მოუგო და „ჩაფრების" ძლევა გუშინ მოახერხა. მასპინძლები რასელ ანდერსონის თავური დარტყმის შედეგად დაწინაურდნენ, რასაც სტივ ლოველმა მალე მეორე მიაყოლა.

დადო პრსომ ფერნანდო რიკსენის პასით ერთი გოლი გაქვითა, მეორე ტაიმის დასაწყისში კი „რეინჯერსმა" ლოვენკრანდსის წყალობით გაათანაბრა. მერე რიკსენი გააძევეს და ათკაცა „ჩაფრებმა" თამაშის დასრულებამდე სამი წუთით ადრე მესამე გოლი გაუშვეს — ჯეიმი სმიტმა დაახლოებით 25 მეტრიდან გაიტანა.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰართსი | 3 | 3 | 0 | 0 | 11:2 | 9 |
| სელტიკი | 3 | 2 | 1 | 0 | 9:5 | 7 |
| რეინჯერსი | 3 | 2 | 0 | 1 | 6:3 | 6 |
| კილმარნოკი | 3 | 2 | 0 | 1 | 8:6 | 6 |
| ინვერნესი | 3 | 2 | 0 | 1 | 3:1 | 6 |
| აბერდინი | 3 | 1 | 1 | 1 | 5:5 | 4 |
| ჰიბერნიანი | 3 | 1 | 1 | 1 | 4:5 | 4 |
| მოზერუელი | 3 | 1 | 1 | 1 | 6:8 | 4 |
| ფოლკირკი | 3 | 1 | 0 | 2 | 3:5 | 3 |
| დანფერმლაინი | 3 | 0 | 1 | 2 | 1:3 | 1 |
| დანდი იუნ. | 3 | 0 | 1 | 2 | 1:6 | 1 |
| ლივინგსტონი | 3 | 0 | 0 | 3 | 0:8 | 0 |

### I დივიზიონი. III ტური
ერდრი — როსი 0:1; კლაიდი — დანდი 1:1; ჰამილტონი — სტ. ჯონსტონი 0:1; ქუინი — ბრეჩინი 0:0; სტ. მირენი — სტრანრარი 0:0

### II დივიზიონი. III ტური
დამბარტონი — ალოა 1:1; ფორფარი — ეარი 1:2; პიტერჰედი — პარტიკი 1:1; რეითი — გრეტნა 1:3; სტირლინგი — მორტონი 0:2

### III დივიზიონი. III ტური
ჰარბროთი — ისტ ფაიფი 1:0; ბერიკი — ისტ სტირლინგი 3:2; კოუდენბითი — ქუინზ პარკი 0:2; მონტროუზი — ალბიონი 0:2; სტენჰაუზმური — ელგინი 3:1

## ჩეხეთი
### გამბრინუსლიგა. II ტური
სპარტა — მოსტი 2:1; ბანიკი — ზლინი 4:1; ბლშანი — პლზენი 0:3; იაბლონეცი — სიგმა 1:2; იჰლავა — პრჟიბრამი 2:3; ტეპლიცე — სლავია 1:0. ბრნო — ლიბერეცი დღეს გაიმართება

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პრჟიბრამი | 2 | 2 | 0 | 0 | 5:3 | 6 |
| სპარტა | 2 | 2 | 0 | 0 | 4:2 | 6 |
| სიგმა | 2 | 2 | 0 | 0 | 3:1 | 6 |
| ლიბერეცი | 1 | 1 | 0 | 0 | 4:2 | 3 |
| პლზენი | 2 | 1 | 0 | 1 | 4:2 | 3 |
| ბანიკი | 2 | 1 | 0 | 1 | 4:2 | 3 |
| მოსტი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 3 |
| იაბლონეცი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 3 |
| ტეპლიცე | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| ბლშანი | 2 | 1 | 0 | 1 | 1:3 | 3 |
| იჰლავა | 2 | 0 | 1 | 1 | 3:4 | 1 |
| სლავია | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | 1 |
| სლოვაცკო | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |
| ბრნო | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |
| ბოლესლავი | 1 | 0 | 0 | 1 | 2:4 | 0 |
| ზლინი | 2 | 0 | 0 | 2 | 1:5 | 0 |

## პორტუგალია
### სუპერთასი
**ბენფიკა 1:0 სეტუბალი**
1:0 ნ. გომეში (51)

## ნორვეგია
### ტიპელიგა
### XVIII ტური
ფრედრიკსტადი — ჰამ კამი 1:1; ლილესტრიომი — ოდ გრენლანდი 2:3; სტარტი — რუსენბორგი 5:2; ალესუნდი — ვოლერენგა 0:2; ტრომსიო — მოლდე 2:1; ბოდიო გლიმტი — ბრანი 2:1; ლინი — ვიკინგი 2:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სტარტი | 18 | 11 | 5 | 2 | 35:19 | 38 |
| ვოლერენგა | 17 | 10 | 4 | 3 | 28:17 | 34 |
| ლინი | 18 | 8 | 7 | 3 | 26:16 | 31 |
| ვიკინგი | 18 | 9 | 4 | 5 | 27:22 | 31 |
| ლილესტრიომი | 18 | 9 | 3 | 6 | 27:23 | 30 |
| ბრანი | 18 | 7 | 5 | 6 | 32:22 | 26 |
| ფრედრიკსტადი | 18 | 6 | 5 | 7 | 27:26 | 23 |
| ჰამ კამი | 18 | 6 | 4 | 8 | 20:24 | 22 |
| რუსენბორგი | 18 | 6 | 3 | 9 | 31:32 | 21 |
| ოდ გრენლანდი | 18 | 6 | 3 | 9 | 17:34 | 21 |
| მოლდე | 17 | 5 | 3 | 9 | 22:33 | 18 |
| ტრომსიო | 18 | 3 | 8 | 7 | 19:24 | 17 |
| ბოდიო გლიმტი | 18 | 4 | 4 | 10 | 21:29 | 16 |
| ალესუნდი | 18 | 3 | 6 | 9 | 16:27 | 15 |

## რუსეთი
### თასი
**სპარტაკი ნ. 1:1 ტერეკი**

## დანია
### სუპერლიგა. V ტური
ორჰუსი — ოდენსე 0:4; ჰორსენსი — ბრონდბიუ 0:0; ნორდსიელანდი — მიდტიულანდი 3:2; სილკებორგი — ვიბორგი 1:1; სონდერილანდი — კოპენჰაგენი 0:1; ოლბორგი — ესბიერგი 2:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვიბორგი | 5 | 4 | 1 | 0 | 13:5 | 13 |
| ბრონდბიუ | 5 | 4 | 1 | 0 | 11:3 | 13 |
| კოპენჰაგენი | 5 | 4 | 1 | 0 | 7:2 | 13 |
| ოდენსე | 5 | 2 | 3 | 0 | 8:3 | 9 |
| მიდტიულანდი | 5 | 2 | 1 | 2 | 7:9 | 7 |
| სილკებორგი | 5 | 2 | 1 | 2 | 6:10 | 7 |
| ნორდსიელანდი | 5 | 1 | 2 | 2 | 6:8 | 5 |
| ესბიერგი | 5 | 1 | 1 | 3 | 9:9 | 4 |
| ოლბორგი | 5 | 1 | 1 | 3 | 5:7 | 4 |
| სონდერილანდი | 5 | 1 | 1 | 3 | 6:9 | 4 |
| ჰორსენსი | 5 | 0 | 2 | 3 | 1:7 | 2 |
| ორჰუსი | 5 | 0 | 1 | 4 | 5:12 | 1 |

## შვეიცარია
### სუპერლიგა. V ტური
აარაუ — ივერდონი 1:1; შაფჰაუზენი — იანგ ბოისი 3:2; სენტ გალენი — ბაზელი 3:3; თუნი — გრასჰოპერი 2:1; ციურიხი — ქსამაქსი 3:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ციურიხი | 5 | 3 | 1 | 1 | 13:9 | 10 |
| თუნი | 5 | 3 | 1 | 1 | 10:8 | 10 |
| ბაზელი | 5 | 3 | 1 | 1 | 8:8 | 10 |
| სენტ გალენი | 5 | 2 | 2 | 1 | 14:9 | 8 |
| გრასჰოპერი | 5 | 2 | 1 | 2 | 10:9 | 7 |
| იანგ ბოისი | 5 | 2 | 1 | 2 | 8:7 | 7 |
| შაფჰაუზენი | 5 | 1 | 3 | 1 | 6:6 | 6 |
| აარაუ | 5 | 1 | 2 | 2 | 4:7 | 5 |
| ქსამაქსი | 5 | 1 | 1 | 3 | 8:9 | 4 |
| ივერდონი | 5 | 0 | 1 | 4 | 4:13 | 1 |

რეკლამა სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80

## გერმანია

### ბუნდესლიგა. II ტური

**ლევერკუზენი 2:5 ბაიერნი**

0:1 ბალაკი (3), 0:2 მაკაი (11), 1:2 ბერბატოვი (31), 1:3 კარიმი (35), 1:4, 1:5 მაკაი (57, 60), 2:5 ბაბიჩი (82)
ლევერკუზენი: ბუტი, ჟუანი, კასტრო, ატირსონი, როკე ჟუნიორი (მადუნი 75), პრაიერი (ბარნეტა 65), რამელოვი, ბ. შნაიდერი (ბაბიჩი 76), კრჟინოვეკი, ბერბატოვი, ვორონინი
მწვრთნელი: კლაუს აუგენტალერი
ბაიერნი: კანი, ლუსიო, სანიოლი, დემიკელისი, ლიზარაზუ, სალიჰამიჯიჩი (ოტლი 46), ჰარგრივსი, კარიმი (ზე რობერტო 58), ბალაკი, მაკაი, სანტა კრუზი (დაისლერი 79)
მწვრთნელი: ფელიქს მაგათი
გაფრთხილება: რამელოვი
მსაჯი: მერკი
22 500 მაყურებელი

**დორტმუნდი 1:2 შალკე**

1:0 შმოლარეკი (17), 1:1, 1:2 კურანი (22, 58)
დორტმუნდი: ვაიდენფელერი, დედე (ოდონკოვი 73), ვიორნსი, მეცელდერი, დედე, საჰინი (კრუსკა 77), კრინგე, როსიცკი, შმოლარეკი, კოლერი, ბაკლი (ბრზენსკა 83)
მწვრთნელი: ბერტ ვან მარვიიკი
შალკე: როსტი, ბორდონი, ჰამიტ ალტინტოპი, კრსტაიჩი, კობიაშვილი, პაულსენი, ვარელა (ასამოა 73), ბაირამოვიჩი (როდრიგესი 90), ერნსტი, სანდი (ლარსენი 79), კურანი
მწვრთნელი: რალფ რანგნიკი
გაფრთხილება: ჰამიტ ალტინტოპი, სანდი, კურანი
მსაჯი: ფანდელი
81 264 მაყურებელი

**გლადბახი 1:1 ვოლფსბურგი**

0:1 ჰანკე (41), 1:1 ბოგელუნდი (90)
გლადბახი: კელერი, ბოგელუნდი, ზე ანტონიო, იანსენი, შტრასერი, უდე კამპიუსი, ბროიხი (კასტრატი 64), კლუგე (ელბერი 79), ჰაინცე, სერკოში (ელ-ფაკირი 64), ნოივილი
მწვრთნელი: ჰორსტ კიოპელი
ვოლფსბურგი: იენჩი, კარჰანი, კიროგა, ჰოფლანდი, ვაიზერი (შნორი 90), ტიამი, მენსეგეში (ტოპიჩი 75), ცქიტიშვილი, დალესანდრო, ჰანკე (ფრანცი 70), კლიმოვიჩი
მწვრთნელი: ჰოლგერ ფახი
გაფრთხილება: იანსენი, ცქიტიშვილი, კლიმოვიჩი
გაძევება: კლიმოვიჩი (44)
მსაჯი: ვაგნერი
41 026 მაყურებელი

**ჰერტა 2:0 აინტრახტი**

1:0 შრიოდერი (53), 2:0 ვან ლენტი (78ს.კ)
ჰერტა: ტრემელი, ვან ბურიკი, სიმუნიჩი, ა. ფრიდრიხი, ფატი (ბოატენგი 46), ნ. კოვაჩი, ო. შრიოდერი, ჟილბერტო (მადლუნგი 86), მარსელინიო, ვიხნიარეკი (ბაშთურქი 63), რაფაელი
მწვრთნელი: ფალკო გიოტცი
აინტრახტი: პრიოლი, ოხსი, რემერი, ვასოსკი, სპიხერი, ჰუგელი, პრეუბი (კოლევი 72), დუ რი ჩა, ა. მაიერი, ჯონსი, ამანატიდისი (ვან ლენტი 76)
მწვრთნელი: ფრიდჰელმ ფუნკელი
გაფრთხილება: სიმუნიჩი, ნ. კოვაჩი, ბაშთურქი, დუ რი ჩა, ჯონსი
მსაჯი: შმიდტი
49 416 მაყურებელი

**კაიზერსლაუტერნი 5:3 დუისბურგი**

1:0 ჰალილ ალტინტოპი (2), 1:1 მიორლე (21), 2:1 ლემბი (27), 3:1 ჰალილ ალტინტოპი (58), 3:2 მიოოლე (62), 3:3 აჰანფუფი (66), 4:3 სანოგო (68), 5:3 ჰალილ ალტინტოპი (80)
კაიზერსლაუტერნი: მახო, პლეჩი, მეტომო, ბლანკი, ლემბი, სფორცა (ტ. რიდლი 55), ენგელჰარდტი, ჰალილ ატინტორპი, შკელა, ზაიცი (ზანდი 69), იანკერი (სანოგო 62)
მწვრთნელი: მიხაელ ჰენკე
დუისბურგი: გ. კოხი, მიორლე, ვოლტერსი (ლოტნერი 81), ბაილუმი, ბუგერა, გრლიჩი, ჰაუსვაილერი, რილი, კურტი, მიხალკე (ლავრიჩი 61), აჰანფუფი
მწვრთნელი: ნორბერტ მეიერი
გაფრთხილება: ბლანკი, ზაიცი, ჰალილ ალტინტორპი, გრლიჩი, ბუგერა, აჰანფუფი
მსაჯი: პერლი
30 111 მაყურებელი

**ნიურნბერგი 1:1 ჰანოვერი**

0:1 ბრდარიჩი (8), 1:1 მინტალი (90)
ნიურნბერგი: შეფერი, ლენსე, ვოსაკი (ს. მიულერი 82), კანტალუპი, ლ. მიულერი, პოლაკი, მნარი (ბანოვიჩი 68), ვიტეკი, საენკო, შროტი (კეისლინგი 68), მინტალი
მწვრთნელი: ვოლფგანგ ვოლფი
ჰანოვერი: უნკე, მერტესაკერი, ბალიჩი, ზურავი, ტარნატი, ლალა, დაბროვსკი, იანკოვი (დიტვალდი 87), ჰაშემიანი (ვინიციუსი 69), შტაინერი, ბრდარიჩი
მწვრთნელი: ევალდ ლინენი
გაფრთხილება: იანკოვი, ვინიციუსი, შტაინერი
მსაჯი: გაგელმანი
28 349 მაყურებელი

**არმინია 0:2 ჰამბურგი**

0:1 ბარბარესი (79), 0:2 ვან დერ ვაარტი (90)
არმინია: ჰაინი, კორჟინეცი (პინტო 85), ვესტერმანი, რაუ, ფინკი (დამაიერი 73), ბორგესი, პორჩელო, სუმა, კრუპნიკოვიჩი (ბოაკი 63), კუნცელი, ვატა
მწვრთნელი: თომას ვონ ჰესენი
ჰამბურგი: რეხტერი, ბულარუზი, დემელი (კლინგბეილი 57), ვან ბუიტენი, ატუბა, ვიკი, იაროლიმი, ტროჰოსკი (მაჰდავიკია 68), ვან დერ ვაარტი, ემპენზა (ლაუტი 45), ბარბარესი
მწვრთნელი: თომას დოლი
გაფრთხილება: პორჩელო, კორჟინეცი, ვატა, ვიკი, ატუბა, ვან დერ ვაარტი
მსაჯი: ფლაშერი
23 425 მაყურებელი

**შტუტგარტი 2:3 კიოლნი**

0:1 ფულნერი (9), 0:2, 0:3 შტრაიტი (47, 55), 1:3 შტრელერი (58), 2:3 ტიფერტი (69)
შტუტგარტი: ჰილდებრანდი, ბაბელი, მანინი, მეირა, ჰინკელი, მაისნერი, ტიფერტი, ჰიტცლშპერგერი (გომესი 49), გრონკიაერი (გენტნერი 54), ტომასონი, შტრელერი
მწვრთნელი: ჯოვანი ტრაპატონი
კიოლნი: ვესელსი, სინკევიჩი, გრამოცისი, სპრინგერი, ლელი (შერცი 69), მატიპი, სინკალა, შტრაიტი (პ. მადსენი 85), გიე-მიანი (ბენშნაიდერი 80), ფულნერი, პოდოლსკი
მწვრთნელი: უვე რაპოლდერი
გაფრთხილება: მაისნერი, ტიფერტი, შტრელერი, შტრაიტი, სპრინგერი, ლელი, გრამოცისი
გაძევება: სინკალა (71)
მსაჯი: ვანერი
49 000 მაყურებელი

**მაინცი 0:2 ვერდერი**

0:1 კლასნიჩი (21), 0:2 კლოზე (62)
მაინცი: ვახე, ფრიდრიხი, აბელი, ნოვესკი, ვაგელტი, ბაბაცი (გასლერი 71), ფ. გერბერი (ადო 77), და სილვა, რუმანი, ტურკი (ვაილანდი 71), აუერი
მწვრთნელი: იურგენ კლოპი
ვერდერი: რაინკე, პასანენი, ოვემაიელა, ნალდო, შულცი, ვრანიეში, ფრინგსი, ბოროვსკი (დ. იენსენი 78), მიკუ (ლ. ანდრეასენი 88), კლოზე, კლასნიჩი (ვალდესი 67)
მწვრთნელი: თომას შააფი
გაფრთხილება: ნოვესკი, და სილვა, შულცი, ფრინგსი, ბოროვსკი, პასანენი
მსაჯი: კინჰოფერი
20 300 მაყურებელი

# მაკაი 50



როი მაკაი (მარცხნივ) ბუნდესლიგის ბომბარდირთა ლიდერია

**ლევერკუზენის** „ბაიერის“ სპორტულმა დირექტორმა რუდი ფიოლერმა მატჩამდე თქვა, „ბაიერნი“ და „ბაიერი“ ამ დროისთვის ტოლსწორი გუნდები არიანო. ფიოლერის წინასწარმეტყველება სულ სამ წუთს გაგრძელდა, სანამ მიხაელ ბალაკი ჰანს იორგ ბუტს პირველს გაუტანდა. მერე „ბაიერნმა“ კიდევ ოთხი მიაყოლა და „ფარმაცევტების“ ქომაგები მოსასულიერებელნი გახდნენ.

ძირითად შემადგენლობაში ითამაშა „აზიელმა მარადონამ“ ალი კარიმიმ, რომელმაც ერთი საგოლე პასი მაკაის მიართვა და ერთიც, პირველი ბაიერნული გოლი, თვითონ მიითვალა.

დიმიტარ ბერბატოვმა ვორონინის წაქცევისთვის დანიშნული პენალტით ერთი გაქვითა, მაგრამ მეორე ტაიმში როი მაკაიმ სამი წუთი იკმარა დუბლის შესასრულებლად. მაკაი ხუთი გოლით ბუნდესლიგის ბომბარდირია, სულ კი „ბაიერნის“ მაისურით 50-ე ბურთი გაიტანა.

ბაიერნივით ლაღად ვერ ითამაშა „შალკემ“, მაგრამ სამი ქულა მაინც აიღო. დორტმუნდის „ბორუსიას“ 1998 წლის შემდეგ „შალკე“ შინ არ დაუმარცხებია და ვერც ამჯერად გატეხა ნავსი. მასპინძლები ები შმოლარეკმა მეჩვიდმეტე წუთზე დააწინაურა — ფრანკ როსტს ბურთი ფეხებშუა გაუძვრინა. კევინ კურანიმ მალევე გაათანაბრა. ბუნდესნაკრების ფორვარდმა კუთხურიდან ჩაწოდებული ბურთი ვაიდენფელერის კარში შეაბრძანა. შესვენების შემდეგ კვლავ კურანიმ იყოჩაღა და „შალკემ“ მიჯრით მეორე მატჩი მოიგო. რურის დერბი სანახავად მისული 80 ათასზე მეტი მასპინძელი ქომაგი კი დამწუხრებული დარჩა.

როი მაკაის არ ჩამორჩა „კაიზერსლაუტერნის“ თურქი ნახევარმცველი ჰალილ ალტინტოპი, რომელმაც „დუისბურგთან“ ჰეთ თრიქი შეასრულა. „ლაუტერნი“ სამჯერ დაწინაურდა, სტუმრებმა ორჯერვე შეძლეს გათანაბრება, მაგრამ მესამედ ველარ მოახერხეს.

„ჰამბურგის“ ჰოლანდიელმა ლეგიონერმა რაფაელ ვან დერ ვაარტმა პირველი ბუნდესლიგური გოლი „არმინიასთან“ გაიტანა, თომას დოლის გუნდი ინტერტოტოს ჩათვლით უკვე მეხუთე მატჩია, კარს „მშრალად“ ინახავს და საკმაოდ დამაჯერებლად ბურთაობს.

ვან დერ ვაარტამდე „ჰამბურგი“ პენალტით სერგი ბარბარესმა დააწინაურა, რომელსაც მანამდე ერთი გოლი თამაშგარე მდგომარეობის გამო არ ჩაუთვალეს.

ფრანკფურტის „აინტრახტის“ მწვრთნელმა ფრიდჰელმ ფუნკელმა ბერლინში შეცვლა „გამოიცნო“, როცა მოედანზე არი ვან ლენტი შეუშვა. სტუმართა ფორვარდმა შესვლიდან ერთ წუთში საკუთარ კარში თავით გოლი გაიტანა და „ჰერტას“ მოგება გაუადვილა.

მარეკ მინტალის გვიანმა გოლმა „ნიურნბერგი“ „ჰანოვერთან“ მარცხისგან იხსნა. ჰანოვერელები ტომას ბრდარიჩის თავურით თამაშის დასაწყისშივე დაწინაურდნენ, მაგრამ წინა სეზონის ბომბარდირმა მინტალმა თავისი ხელობა გაიხსენა და ბოლო წუთზე გაათანაბრა.

„ვოლფსბურგი“ მირჩხუნგლადბახში მაიკ ჰანკეს გოლით იგებდა, თუმც სტუმარი დიეგო კლიმოვიჩი მსაჯმა კამათის გამო პირველივე ტაიმში გააძევა და ათკაცა „მგლები“ შეხვედრის მიწურულს გატყდნენ — ბოგელუნდის დარტყმული ბურთი ჰოფლანდის ფეხიდან აღმოჩნდა „ვოლფსბურგის“ კარში.

სირცხვილი ჭამა „შტუტგარტმა“. ჯოვანი ტრაპატონის გუნდს ყველასათვის მოულოდნელად „კიოლნმა“ მოუგო და არცთუ დაუმსახურებლად. თანაც სტუმრებმა ბოლო 20 წუთი 10 კაცით ჩაატარეს. ვთქვათ ისიც, რომ პირველ ტაიმში შტუტგარტელებმა პენალტი ვერ გამოიყენეს.

„ვერდერმა“ კი მშვიდად მოუგო „მაინცს“ და მორიგი 3 ქულა გაიფორმა. ბრემენელთაგან ისევ ფორვარდთა დუეტმა კლოზე-კლასნიჩი იხეირა.

**ვაჟა ხუციშვილი**

|  | სულ |  |  |  |  |  |  | შინ |  |  |  |  |  |  | სტუმრად |  |  |  |  |  |  |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 ბაიერნი | 2 | 2 | 0 | 0 | 8:2 | 6 | 6 | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 5:2 | 3 | 3 |
| 2 ვერდერი | 2 | 2 | 0 | 0 | 7:2 | 5 | 6 | 1 | 1 | 0 | 0 | 5:2 | 3 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 2 | 3 |
| 3 ჰამბურგი | 2 | 2 | 0 | 0 | 5:0 | 5 | 6 | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 2 | 3 |
| 4 კიოლნი | 2 | 2 | 0 | 0 | 4:2 | 2 | 6 | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 1 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 3:2 | 1 | 3 |
| 5 შალკე | 2 | 2 | 0 | 0 | 4:2 | 2 | 6 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 1 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 1 | 3 |
| 6 ჰერტა | 2 | 1 | 1 | 0 | 4:2 | 2 | 4 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 2 | 3 | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 |
| 7 ლაუტერნი | 2 | 1 | 0 | 1 | 6:5 | 1 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 5:3 | 2 | 3 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | -1 | 0 |
| 8 ლევერკუზენი | 2 | 1 | 0 | 1 | 6:6 | 0 | 3 | 1 | 0 | 0 | 1 | 2:5 | -3 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 4:1 | 3 | 3 |
| 9 ჰანოვერი | 2 | 0 | 2 | 0 | 3:3 | 0 | 2 | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 |
| 10 ვოლფსბურგი | 2 | 0 | 2 | 0 | 3:3 | 0 | 2 | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 |
| 11 შტუტგარტი | 2 | 0 | 1 | 1 | 3:4 | -1 | 1 | 1 | 0 | 0 | 1 | 2:3 | -1 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 |
| 12 დორტმუნდი | 2 | 0 | 1 | 1 | 3:4 | -1 | 1 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | -1 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 |
| 13 დუისბურგი | 2 | 0 | 1 | 1 | 4:6 | -2 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 1 | 3:5 | -2 | 0 |
| 14 ნიურნბერგი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:4 | -3 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | -3 | 0 |
| 15 გლადბახი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:4 | -3 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | -3 | 0 |
| 16 მაინცი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:3 | -3 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | -2 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | -1 | 0 |
| 17 არმინია | 2 | 0 | 0 | 2 | 2:7 | -5 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | -2 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 2:5 | -3 | 0 |
| 18 აინტრახტი | 2 | 0 | 0 | 2 | 1:6 | -5 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:4 | -3 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | -2 | 0 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| მაკაი (ბაიერნი) | 5 |
| ალტინტოპი (ლაუტერნი) | 4 |
| ბარბარესი (ჰამბურგი) | 3 |
| კლასნიჩი (ვერდერი) | 3 |
| კლოზე (ვერდერი) | 3 |

### III ტური

27-28 აგვისტო

| | |
|---|---|
| ვერდერი | შტუტგარტი |
| არმინია | მაინცი |
| აინტრახტი | ნიურნბერგი |
| ბაიერნი | ჰერტა |
| ვოლფსბურგი | ლევერკუზენი |
| შალკე | გლადბახი |
| დუისბურგი | დორტმუნდი |
| კიოლნი | ლაუტერნი |
| ჰამბურგი | ჰანოვერი |

## მეორე ბუნდესლიგა

### II ბუნდესლიგა. II ტური

**დინამო დრ. 2:0 ფრაიბურგი**

1:0 ვორბეკი (48), 2:0 კაგარა (53)
ფრაიბურგი: ვალკე, ჰერმელი (დიარა 11), მოჰამედი (ბალტესი 68), იბერსტბერგერი, ოლაიენგბესი, რაიტერი, კუჯუ, კულიბალი, ტანკო, სანუ (ანტარი 46), იაშვილი
მწვრთნელი: ფოლკერ ფინკე

**ალემანია 2:1 კარლსრუე**

1:0 როსლერი (55), 1:1 დანდი (84პ), 2:1 რეგეკამპი (90)

**მიუნხენი 4:1 ჰანზა**

1:0, 2:0 აგოსტინო (2, 16), 3:0 ვუჩიჩევიჩი (58), 4:0 კოლომაზნიკი (78), 4:1 რ. კოსტა (88ს.კ.)

**ბრაუნშვაიგი 3:1 ალენი**

1:0, 2:0 რიშე (16, 33), 3:0 კურუ (39), 3:1 ბამბა (72)

**ოფენბახი 2:1 ფიურტი**

1:0 ტირკერი (31), 2:0 საიგერი (75), 2:1 ერსეგი (81)

**ბურგჰაუზენი 1:1 აუე**

0:1 დემირი (4), 1:1 ჰერტლი (52)

**პადერბორნი 5:0 ზაარბრიუკენი**

1:0 მილერი (16), 2:0 მაასი (18), 3:0 ნდიენგი (42), 4:0 შილერი (54), 5:0 გრეფი (81)

**ზიგენი 4:0 უნტერჰახინგი**

1:0 ლინტიენსი (35), 2:0 ბეტენშტადტი (49), 3:0 ბოგუში (55), 4:0 ბეტენშტადტი (81)

**ბოხუმი — კოტბუსი**

*დღეს გაიმართება*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მიუნხენი | 2 | 2 | 0 | 0 | 6:2 | 6 |
| ოფენბახი | 2 | 2 | 0 | 0 | 4:2 | 6 |
| აუე | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 4 |
| ბოხუმი | 1 | 1 | 0 | 0 | 4:0 | 3 |
| პადერბორნი | 2 | 1 | 0 | 1 | 5:3 | 3 |
| ზიგენი | 2 | 1 | 0 | 1 | 4:2 | 3 |
| ბრაუნშვაიგი | 2 | 1 | 0 | 1 | 4:3 | 3 |
| ფიურტი | 2 | 1 | 0 | 1 | 4:3 | 3 |
| კარლსრუე | 2 | 1 | 0 | 1 | 3:2 | 3 |
| კოტბუსი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| დინამო | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 3 |
| ალემანია | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 3 |
| უნტერჰახინგი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:4 | 3 |
| ფრაიბურგი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:3 | 3 |
| ბურგჰაუზენი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 |
| ალენი | 2 | 0 | 0 | 2 | 2:5 | 0 |
| ჰანზა | 2 | 0 | 0 | 2 | 2:6 | 0 |
| ზაარბრიუკენი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:9 | 0 |

## ჩრდილოეთ რეგიონალლიგა

### II ტური

აალენი — ფულენდორფი 2:0; ლაუტერნი (მ) — ელვერსბერგი 1:0; ვეენი — ბაიერნი (მ) 1:2; ეშბორნი — დარმშტადტი 0:4; რეგენსბურგი — კიკერსი 2:2; კარლსრუე (მ) — კობლენცი 0:2; შტუტგარტი (მ) — აუგსბურგი 2:0; ტრირი — ჰოფენჰაიმი 0:3

## სამხრეთ რეგიონალლიგა

### IV ტური

ვატენშტაიდი — ვუპერტალი 1:2; ოსნაბრიუკი — ლევერკუზენი (მ) 1:1; ვერდერი (მ) — ერფურტი 3:0; ზტ. პაული — ლიუბეკი 1:1; ესენი — ობერჰაუზენი 2:1; კარლ ცაისი — მიუნსტერი 0:1; კილი — ჰერტა (მ) 2:0; კიოლნი (მ) — დიუსელდორფი 2:1; ჰამბურგი (მ) — ემდენი 0:3



AFP სტრასბურიდან

სტრასბური — მონაკო 1:2. არტურ ბოკა და ტოიფილუ მალუდა ერთმანეთს არ ინდობდნენ

# კურბისს ნანტი აჩუქეს

## საფრანგეთი

### I დივიზიონი. III ტური

**პსჟ 2:0 ტულუზი**

1:0, 2:0 პაულეტა (43, 61)
გაძევება: ბერგუნი (30, ტულუზი)

**ლილი 1:2 ტრუა**

0:1 ნივე (2), 0:2 დალე (44), 1:2 დებიუში (67)

**ლე მანი 4:0 რენი**

1:0, 2:0 დე მელო (8, 33), 3:0 ლუსაუ (56), 4:0 ბანგურა (78)
გაძევება: მონტერებიუ (8, რენი)

**ოსერი 1:0 ბორდო**

1:0 პიერონი (40)

**ნანსი 1:2 ლანსი**

0:1 ა. დიარა (14), 0:2 დინდანე (20), 1:2 ზერკა (46)

**სენტ ეტიენი 2:0 მეცი**

1:0, 2:0 პიკიონი (24, 33)

**ნიცა 1:2 სოშო**

1:0 ს. ტრაორე (44), 1:1 1:2 ილანი (79პ, 80)
გაძევება: მირანდა, აფოლაბი (56, 90, სოშო), ბალმონი (70, ნიცა)

**ნანტი 0:2 აიაჩო**

0:1 ედსონი (55), 0:2 როკი (72)

**სტრასბური 1:2 მონაკო**

0:1 სკილაჩი (48), 0:2 ჩევანტონი (79), 1:2 ლე-პენი (90)

**მარსელი 1:1 ლიონი**

1:0 ტაივო (6), 1:1 კარეუ (35)

„აიაჩოს" ნანტში არასოდეს მოეგო. მეტიც, 1973 წლის შემდეგ კორსიკელებს გოლიც კი არ გაეტანათ სტუმრად ნანტელთათვის, მაგრამ კუნძულელებმა თავიანთ მწვრთნელ როლან კურბისს 52-ე დაბადებისდღეზე საჩუქრად სამი ქულა და ისტორიული გამარჯვება მიართვეს.

კორსიკელებმა ორივე ტაიმში მეტოქეზე უკეთ ითამაშეს, გოლები კი მხოლოდ შესვენების შემდეგ შეყარეს. მარსელო ედსონმა და რომან როკიმ ჩვიდმეტ წუთში გატანილი ორი ბურთით მასპინძლები დააჩოქეს.

„ნიცა" — „სოშოს" შეხვედრაში მსაჯმა ყვითელ-წითელი ბარათების წარამარა ამოღებით ჯიბე გაცვითა. მეორე ტაიმში სტუმრებს ორი ფეხბურთელი გაუძევა, მასპინძლებს — ერთი. ცხრაკაცა „სოშომ" ათკაცა „ნიცას" ილანის დუბლით მაინც მოუგო.

პსჟ-მ მიჯრით მესამე მატჩში იმარჯვა და საჩემპიონო ამბიცია გაამხილა. პარიზელთა კაპიტანმა და მეგოლემ დუბლი შეასრულა მას შემდეგ, რაც „ტულუზი" 30-ე წუთზე კაცნაკლული დარჩა. სტუმართა მეკარე კრისტოფ რევოსთვის ეს მე-300 პირველდივიზიონური მატჩი იყო და იუბილეზე ორი გოლით პაულეტამ „დაასაჩუქრა".

„ლანსმა" თამაშის დაწყებიდან ოც წუთში გააბრუა დებიუტანტი „ნანსი". დიარამ და დინდანემ მეტოქის უხეირო დაცვის შეცდომებით ისარგებლეს და მასპინძლები ორბურთიანი სხვაობით დააწინაურეს. ნანსელებმა მეორე ტაიმის დასაწყისში ერთის გაქვითვა მოახერხეს — ადრიან სარქისიანის პასით მოსეფ ზერკამ შარლ იტანჟეს გაუტანა.

ჩემპიონთა ლიგაში ადგილდაბევებულმა „ლილმა" შინ „ტრუასთან" წაგო. მასპინძელთა კარში მეორე წუთზევე პენალტი დანიშნეს, რომელიც ბენჟამინ ნივემ გამოიყენა, ხოლო სტეფან დალემ ტაიმის მიწურულს მეორე მიაყოლა. ლილელმა მეტიუ დებიუშიმ შესვენების შემდეგ სხვაობის შემცირება მოახერხა.

პირველ დივიზიონში ალზევებულმა „ლემანმა" „რენს" ბდღვირი ადინა. სტუმრებს მეშვიდე წუთზე ოლივიე მონტერუბიო გაუძევეს და რენელთა რბევაც აქედან დაიწყო. მონტერუბიომ კარის ხაზიდან ბურთი ხელით გამოიტანა, რის გამოც მოედნიდან მიაბრძანეს და პენალტიც დანიშნეს. ვინიციუს დე მელომ პენალტი გაიტანა, მერე კი მეორე გოლიც გაიფორმა, ხოლო შესვენების შემდეგ შიგი ლუსაუმ და ისმაელ ბანგურამ თითო-თითო მიითვალეს. „რენმა" უკვე მიჯრით მეორე შეხვედრა წააგო 0:4 და მისი ადგილი ცხრილის ბოლოშია.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პსჟ | 3 | 3 | 0 | 0 | 7:1 | 9 |
| ოსერი | 3 | 2 | 1 | 0 | 3:0 | 7 |
| ლიონი | 3 | 2 | 1 | 0 | 4:2 | 7 |
| ნანტი | 3 | 2 | 0 | 1 | 5:2 | 6 |
| ბორდო | 3 | 2 | 0 | 1 | 3:1 | 6 |
| ლანსი | 3 | 2 | 0 | 1 | 4:3 | 6 |
| მონაკო | 3 | 2 | 0 | 1 | 3:3 | 6 |
| აიაჩო | 3 | 1 | 2 | 0 | 5:3 | 5 |
| სტ. ეტიენი | 3 | 1 | 2 | 0 | 2:0 | 5 |
| ტრუა | 3 | 1 | 2 | 0 | 3:2 | 5 |
| ლე მანი | 3 | 1 | 1 | 1 | 5:2 | 4 |
| ნიცა | 3 | 1 | 1 | 1 | 4:3 | 4 |
| ლილი | 3 | 1 | 1 | 1 | 5:5 | 4 |
| სოშო | 3 | 1 | 0 | 2 | 2:3 | 3 |
| ტულუზი | 3 | 1 | 0 | 2 | 1:4 | 3 |
| სტრასბური | 3 | 0 | 1 | 2 | 1:3 | 1 |
| მარსელი | 3 | 0 | 1 | 2 | 1:5 | 1 |
| მეცი | 3 | 0 | 1 | 2 | 1:6 | 1 |
| ნანსი | 3 | 0 | 0 | 3 | 1:4 | 0 |
| რენი | 3 | 0 | 0 | 3 | 0:8 | 0 |

### II დივიზიონი. III ტური

კლერმონი — სედანი 1:0; ამიენი — ბასტია 1:2; ბრესტი — ლე ავრი 2:2; შატორუ — მონპელიე 2:1; კრეტეი — გენიონი 4:0; გენგამი — ლორიანი 1:1; ლავალი — დიჟონი 0:1; რეიმსი — კაენი 2:0; სეტე — ისტრი 1:2; ვალანსი — გრენობლი 2:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეიმსი | 3 | 1 | 0 | 2 | 3:3 | 3 |
| ბრესტი | 3 | 0 | 3 | 0 | 3:3 | 3 |
| გენგამი | 3 | 0 | 3 | 0 | 2:2 | 3 |
| გრენობლი | 3 | 1 | 0 | 2 | 1:5 | 3 |
| სეტე | 3 | 0 | 1 | 2 | 2:4 | 1 |
| ლე ავრი | 3 | 0 | 1 | 2 | 3:7 | 1 |
| კაენი | 2 | 0 | 0 | 2 | 2:5 | 0 |
| ლავალი | 3 | 0 | 0 | 3 | 1:4 | 0 |
| კრეტეი | 3 | 2 | 1 | 0 | 8:3 | 7 |
| შატორუ | 3 | 2 | 1 | 0 | 6:2 | 7 |
| ლორიანი | 3 | 2 | 1 | 0 | 5:3 | 7 |
| ისტრი | 3 | 2 | 1 | 0 | 3:1 | 7 |
| ვალანსი | 3 | 2 | 0 | 1 | 4:3 | 6 |
| ბასტია | 3 | 1 | 2 | 0 | 4:3 | 5 |
| კლერმონი | 3 | 1 | 2 | 0 | 2:1 | 5 |
| მონპელიე | 3 | 1 | 1 | 1 | 4:4 | 4 |
| დიჟონი | 3 | 1 | 1 | 1 | 3:3 | 4 |
| სედანი | 3 | 1 | 1 | 1 | 3:3 | 4 |
| გენიონი | 3 | 1 | 1 | 1 | 2:4 | 4 |
| ამიენი | 2 | 1 | 0 | 1 | 4:2 | 3 |

# სუპერთასს სუპერგუნდი უმიზნებს

## ესპანეთი

### სუპერთასი. I მატჩი

**ბეტისი 0:3 ბარსელონა**

0:1 ჟიული (47), 0:2 ეტოო (51), 0:3 რონალდინიო (63)
ბეტისი: დობლასი, რივასი, ლ. ფერნანდესი, ასუნსაო (ხისკო 46), მელი, მიგელ ანხელი (არსუ 81), რივერა, ხოაკინი, ედუ, ოლივეირა (ფერნანდო 81)
მწვრთნელი: ლორენს სერა ფერერი
ბარსელონა: ვალდესი, სილვინიო, ბელეტი, პუიოლი, ოლეგერი, ედმილსონი (გაბრი 85), ხავი, ჟიული (ვან ბომელი 70), დეკო (ინიესტა 81), რონალდინიო, ეტოო
მწვრთნელი: ფრანკ რაიკარდი
გაფრთხილება: ჟიული, დეკო, მიგელ ანხელი, ხუანიტო, რივერა
მსაჯი: დაუდენ იბანიესი

**ფრანკ რაიკარდის** „ბარსელონამ" ესპანეთის სუპერთასის გასვლით მატჩში „ბეტისს" ანდერძი საკუთარ „რუის დე ლოპერაზე" აუგო — რონალდინიომ და კომპანიამ სევილიური გუნდი სამი ერთიმეორეზე ლამაზი გოლით დაასაჩუქრეს.

პირდაპირ ვთქვათ, ეს გამარჯვება „ბარსასთვის" თავის ისტორიაში რიგით მეექვსე სუპერთასის მონადირებას ნიშნავს, რადგან „ბეტისისგან" „კამპ ნოუს" განმეორებით შეხვედრაში სამზე მეტი ბურთის გატანა სასწაულის ტოლფასი იქნება.

„რუის დე ლოპერას" მკვიდრნი კატალონიელებმა პირველივე წუთებიდან გათანგეს — რაიკარდის ბიჭებს ეტყობოდათ, რომ სევილიაში საყაიმოდ არ ჩასულიყვნენ. ხავიმ მატჩის დასაწყისში „ბეტისის" გოლკიპერის ოსტატობა ორი ძლიერი დარტყმით მოსინჯა — თავიდან ბურთი მიზანს ასცდა, ცოტა ხნის მერე კი დობლასმა კატალონიელის გასროლა დიდი გაჭირვებით უკუაგდო.

პირველ ტაიმში მასპინძელთა დაცვა განსაკუთრებით ჟიულისა და ბელეტისგან დაიტანჯა, ფრანგმაც და ბრაზილიელმაც უამრავი სახიფათო ეპიზოდი შექმნეს მეტოქის საჯარიმოსთან, რაც ყველაზე მეტად „ბეტისის" უკანახაზელთა ბრალი იყო. თავი არც დანარჩენ ბარსელონელებს შეურცხვენიათ, ხოლო მხრისხანე ხავიმ შესვენებამდე ცოტა ხნით ადრე სევილიურ ინჩასობას დობლასის კარის ძელზე ბურთის დაჭედებით გაუხეთქა გული. ადგილობრივთა საყვარელი კლუბი კი ამ დროს ხოაკინის თავგანწირულმა ბურთაობამ „ბეტისს" ხეირი ვერ მოუტანა...

მეორე ნახევარში სურათი არ შეცვლილა თამაშის განახლებიდან მხოლოდ ორი წუთი დასჭირდა ლუდოვიკ ჟიულის, რომ ნირწამხდარი სევილიელებისთვის გოლი გაეტანა. წესით, მასპინძლები გაშვებული ბურთის გამო უნდა „გაბრაზებულიყვნენ", თუმც სამეულ ეტოომ დასწრო და „ბეტისი" კიდევ უფრო ანერვიულა. 51-ე წუთზე კატალონიელთა შესანიშნავი კომბინაციის შემდეგ კამერუნელმა ბურთს დობლასის კარში მოუძებნა ადგილი. დამხვდურებმა ამის მერე კონტრშეტევების მოწყობა სცადეს, მაგრამ გოლი ისევ და ისევ „დაჩაგრულმა" დობლასმა მიიღო. ავტორი — რონალდინიო, აუღებელი საჯარიმო დარტყმით.



ბეტისი — ბარსელონა 0:3. რონალდინიოს შეჩერება კვლავ შეუძლებელია

0:3-ის შემდეგ „რუის დე ლოპერაზ" თავმოყრილმა 30-ათასმა ინჩასმა ძალიან მოიწყინა. საქმე ის გახლავთ, რომ „ბეტისმა" მსაჯის საფინალო სასტვენამდე ბევრად ადრე ჩაქინდრა თავი, ხოლო უკვე დაღლილ მომხვდურებს გოლეადის გაგრძელება აღარც უცდიათ, შედეგად ანგარიშიც არ შეცვლილა და „ბარსელონასაც" „კამპ ნოუს" დასკვნით რაუნდში სუპერთასის მოსაგებად ბევრი ხლაფორთი არ დასჭირდება. თუმცა წინასწარ ვინ იცის, რა მოხდება...

**ლადო ხომერიკი**

## ბელგია

### იუპილერლიგა. III ტური

**ლუვიე 1:1 გენტი**

0:1 ალიუ (37), 1:1 სანჩესი (84)

**ბრიუსელი 1:1 ბრიუგე**

0:1 იშიაკუ (23), 1:1 კამარგო (29)

**მუსკრონი 0:2 ლოკერენი**

0:1 ვიდარსონი (55), 0:2 ჰენდენბოვენი (89)

**ბეერსხოტი 0:1 ვესტერლო**

0:1 დე ვილდე (89)

**ლიერსი 1:0 სენ-ტრიუდენი**

1:0 ალესანდრო (36)

**სერკლი 0:2 ანდერლეხტი**

0:1 აკინი (26), 0:2 მ. მპენზა (80)
გაძევება: მ. მილოშევიჩი (61)

**რუზელარე 1:0 ბევერენი**

1:0 ელოი (40)

**ვარეგემი 1:2 სტანდარდი**

1:0 მირტი (5), 1:1 გარბინი (90), 1:2 ტრიტე (90)

**რასინგი 0:0 შარლერუა**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ანდერლეხტი | 2 | 2 | 0 | 0 | 8:0 | 6 |
| სტანდარდი | 2 | 2 | 0 | 0 | 5:2 | 6 |
| ვესტერლო | 2 | 2 | 0 | 0 | 3:0 | 6 |
| ლოკერენი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:1 | 4 |
| ბრიუგე | 2 | 1 | 1 | 0 | 3:1 | 4 |
| ბრიუსელი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:1 | 4 |
| შარლერუა | 2 | 1 | 1 | 0 | 2:0 | 4 |
| ვარეგემი | 2 | 1 | 0 | 1 | 4:3 | 3 |
| სენტ ტრუიდენი | 2 | 1 | 0 | 1 | 1:1 | 3 |
| რუზელარე | 2 | 1 | 0 | 1 | 1:1 | 3 |
| ლიერსი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:3 | 3 |
| გენკი | 2 | 0 | 2 | 0 | 1:1 | 2 |
| გენტი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:4 | 1 |
| ლუვიე | 2 | 0 | 1 | 1 | 1:7 | 1 |
| ბეერსხოტი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:3 | 0 |
| ბევერენი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:3 | 0 |
| მუსკრონი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:4 | 0 |
| სერკლი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:4 | 0 |

## ჰოლანდია

### ერედივიზიონი. I ტური

**ალკმაარი 3:0 სპარტა**

1:0, 2:0 შ. არველაძე (3, 49), 3:0 სვეტიუ (74)

**როდა 2:0 ტვენტე**

1:0 ე. სონკო (33), 2:0 კონე (79)

**ჰერაკლესი 1:1 პსვ**

0:1 კოკუ (83), 1:1 სლუიტერი (86)

**ტილბურგი 1:2 ვალვაიკი**

0:1, 0:2 ჰოოგენდორფი (9, 59), 1:2 რუზერი (56)

**ვიტესი 2:2 ჰერენვენი**

1:0 ესაიასი (32), 1:1 ჰანტელაარი (66), 2:1 ტ. იანსენი (79), 2:2 ჰანსონი (81)

**ფეიენოორდი 2:0 ბრედა**

1:0 პარდო (24), 2:0 კუიტი (70)

**გრონინგენი 1:0 როზენდალი**

1:0 კორნელისი (81)
გაძევება: აკუნა (78, როზენდალი)

**ნაიმეგენი 0:0 უტრეხტი**

### მეორე დივიზიონი. I ტური

კამბური — ექსელსიორი 0:1; ემენი — დენ ბოსხი 3:1; ზვოლე — ვოლენდამი 1:1; სიტარდი — იგლსი 3:2; ჰელმონდი — ეინდჰოვენი 3:1; მაასტრიხტი — აპელდორნი 2:2; ოსი — დორდრეხტი 1:2; ვენლო — ტელსტარი 1:0. *ალმერე — ვოლენდამი გადაიდო; ჰაარლემი — გრააფსხაპი დღეს გაიმართება*

## თურქეთი

### სუპერლიგა. II ტური

ანკარაგიუჯიუ — გალათასარაი 0:1; ფენერბაჰჩე — დიარბაქირი 2:2; გაზიანთეფი — სივასფორი 0:0; მალათია — მანისა 0:5; რიზე — სამსუნი 1:2; ანკარა — გენჩლერი 0:0; ბეშიქთაში — დენიზლი 2:0; ქაისერი — ერჯიესი 1:2; კონია — ტრაბზონი 0:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გალათასარაი | 2 | 2 | 0 | 0 | 3:1 | 6 |
| მანისა | 2 | 1 | 1 | 0 | 7:2 | 4 |
| ბეშიქთაში | 2 | 1 | 1 | 0 | 3:1 | 4 |
| დიარბაქირი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 4 |
| ერჯიესი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 4 |
| გაზიანთეფი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 4 |
| ტრაბზონი | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 |
| სამსუნი | 2 | 1 | 0 | 1 | 4:4 | 3 |
| ფენერბაჰჩე | 2 | 0 | 2 | 0 | 2:2 | 2 |
| სივასფორი | 2 | 0 | 2 | 0 | 1:1 | 2 |
| ანკარა | 2 | 0 | 2 | 0 | 1:1 | 2 |
| გენჩლერი | 2 | 0 | 2 | 0 | 0:0 | 2 |
| ანკარაგიუჯიუ | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 |
| კონია | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | 1 |
| დენიზლი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:3 | 1 |
| მალათია | 2 | 0 | 1 | 1 | 1:6 | 1 |
| ქაისერი | 2 | 0 | 0 | 2 | 2:4 | 0 |
| რიზე | 2 | 0 | 0 | 2 | 1:3 | 0 |




სავიოლას „სანჩეს პისხუანზე“ არნახული დახვედრა მოუწყეს

# სავიოლა სევილიელია

**არგენტინელი** ხავიერ სავიოლა ერთი წლით „სევილიაში“ იჯარით იბუთავებს. მას შემდეგ, რაც „ბარსელონამ“ „ბაჭიას“ დაჟინებით მთხოვნელი „ესპანიოლი“ ცივი უარით გაისტუმრა, სატრანსფერო სარბიელზე ანდალუსიელები გამოჩნდნენ და მიაღწიეს კიდეც საწადელს. სევილიელთათვის კატალონიელი მოიერიშე დიდი შენაძენია — ჟულიო ბაპტისტას „რეალში“ გადაბარგების მერე კლუბს ძლიერი ფორვარდი სჭირდებოდა და ხავიერზე უკეთესს ვის მიიყვანდა.

„ბედნიერი ვარ, რომ სათამაშოდ ამ გუნდში მოვედი. მართალია, ჩემი სატრანსფერო საქმე ძალიან გაჭიანურდა, მაგრამ რახან ყველაფერი მშვიდობიანად მოვაგვარეთ, ძველ ამბებს აღარ გავიხსენებ, ახლა მარტო „სევილიაზე“, ჩემს თანაგუნდელებსა და მომავალ გამარჯვებებზე ვფიქრობ“ — განაცხადა არგენტინელმა ჟურნალისტებთან შეხვედრაში.

„სანჩეს პისხუანზე“ იქაურმა ფანობამ „ბაჭიას“ არნახული დახვედრა მოუწყო — მიუხედავად ორმოცგრადუსიანი ანდალუსიური სიცხისა, ინჩასებმა სტადიონი პირამდე შეავსეს და „სავიოლა კამპეონ!“ დააგუგუნეს. მოკლედ, ყველა კმაყოფილი დარჩა „ესპანიოლის“ პრეზიდენტის დანიელ სანჩეს ლიბრეს გარდა.

„კამპ ნოუზე“ მატჩის სანახავად ჩვენს ცხოვრებაში აღარ მივალ. მინდა, „ბარსელონას“ უფროსობისადმი პროტესტით ასე გამოვხატო. ორი თვე ველაპარაკებოდით სავიოლაზე და როცა თითქოს საქმე გადაწყდა და „ბაჭია“ ჩვენთან უნდა წამოსულიყო, ხუან ლაპორტამ არგენტინელი სევილიელებს გადასცა, თანაც ისე, რომ ჩვენთვის არც უცნობებია არაფერი. „ბარსელონას“ თავკაცთა საქციელი ნამდვილად გაუგებარია“ — აღნიშნა განაწყენებულმა სანჩეს ლიბრემ ესპანურ „სპორტთან“ საუბარში.

**ლადო ხომერიძე**

# ჯონათანის ბავშვობა
## გუტი და რეალი ისევ ერთად

**16 თვის** უთამაშებელი ჯონათან ვუდგეიტი ვანდერლეი ლუშემბურგომ 14 წლის ბავშვებს დაუთმო.

„მას წელიწადზე მეტი გაუცდა, ამიტომ პირდაპირ სარეზერვო გუნდში ვერ ვათამაშებ — თქვა ბრაზილიელმა. ჯერ 14-წლამდელებში გაერიოს, შემდეგ 17-წლამდელებში გავამწესებ, მერე კი „რეალის“ სათადარიგო გუნდში ითამაშოს და ფორმა აღიდგინოს. მას მძიმე ტრავმის შემდეგ ფსიქოლოგიურად გამოკეთება სჭირდება. ჯონათანი გულიანად ვარჯიშობს, მაგრამ დიდი ხანია, ბურთს არ გაჰკარებია და ამიტომ ბავშვებთან უფრო იოლად შეძლებს დავიწყებულის გახსენებას. ახლა ძნელია იმის თქმა, თუ როდის იქნება მზად ძირითად შემადგენლობაში სათამაშოდ, მე წინასწარმეტყველი არ ვარ“.



ჯონათან ვუდგეიტი

ხოსე მარია გუტი კი კონტრაქტით დარჩენილ 3 წელიწადს კვლავაც „სანტიაგო ბერნაბეუზე“ გაატარებს. შეგახსენებთ, რომ „რეალის“ ნახევარმცველმა, რაკი ძირითადში ვერ ხვდებოდა, ერთხანს სამეფო გუნდის მიტოვება განიზრახა, თუმცა გუშინ „ასისთვის“ მოიცემულ ინტერვიუში სულ სხვა რამ თქვა: „ამ ზაფხულს „რეალიდან“ წასვლის ჩინებული შანსი მქონდა, თუმც გადავწყვიტე, „ბერნაბეუზე“ დავრჩე. ვთვლი, რომ ეს საუკეთესო გამოსავალია“.

მობურთალს თავისი სიტუაციის სირთულეც მშვენივრად ესმის. ახლა, როცა გალაქტიკოსები ძვირფასი ტრანსფერებით გაძლიერდნენ, გუტის სასტარტო თერთმეტში ბურთაობის ნაკლები შესაძლებლობა მიეცემა.

„წლეულს „რეალში“ ადრინდელზე გაცილებით მძაფრ კონკურენციას ველოდები. ფეხბურთელების ნაკლებობას არასდროს განვიცდიდით, თუმცა ახლა ერთ პოზიციაზე რამდენიმე მოთამაშე მოდის, რაც ძირითადში მოხვედრას გაართულებს. ვეცდები, ჩემი შანსები მაქსიმალურად გამოვიყენო...“ — თქვა გუტიმ.

„ბერნაბეუს“ მობურთალის აზრით, „რეალმა“ ორწლიანი მშრალი პაუზის შემდეგ კვლავ ევროპულ სუპერელიტაში უნდა დაიბრუნოს ადგილი. „ქვეყნის ჩემპიონობა, კოპა დელ რეი და ჩემპიონთა ლიგა — სამივე ამ ტურნირის მოსაგებად ვიბრძოლებთ“ — მტკიცედ აღუთქვა გუტიმ „თეთრების“ გულშემატკივრებს.

**ლადო ხომერიძე**



ანტონიო კასანოს ამბავი კვლავ ბუნდოვანია

# კასანო ჯიუტობს
## როსელა ანტონიოს დაემუქრა

**„იუვენტუსის“** გენერალური დირექტორი ლუჩანო მოჯი და ანიელების ბიზნესიმპერიის მემკვიდრე ლაპო ელკანი ანტონიო კასანოს თაობაზე სხვადასხვაგვარად ლაპარაკობენ.

„იუვენტუსს“ ყველა ჯილდოს მოგება სურს და ამისთვის ანტონიო კასანოს დამატება გვჭირდება — თქვა ელკანმა — მომავალ ზაფხულს ჩვენ მას მუქთად გადმოვიბირებთ“.

ცოტა ადრე ლუჩანო მოჯიმ განაცხადა, „რომას“ ფეხბურთელი არ გვაინტერესებს და მის შეძენას არ ვაპირებთო. ანტონიო კასანოს „რომასთან“ კონტრაქტი 2006 წლის ზაფხულში იწურება და გახანგრძლივებას უარობს. რომაელთა შეფი როსელა სენსი ფეხბურთელს დაემუქრა, ახალ კონტრაქტს თუ არ გააფორმებს, სათადარიგოთა სკამზე ჯდომა მოუწევსო.

იტალიური მედიის ცნობით, „იუვენტუსი“ სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე მოიცდის და „რომა“ იძულებული გახდება, ფეხბურთელის გაყიდვაზე დათანხმდეს, თორემ სულ უფასოდ დაკარგავს. ანტონიო კასანოს სანაცვლოდ რომაელებმა ოთხი წლის წინ 20 მილიონი დოლარი გადაიხადეს და მუქთად მის გაშვებას ალბათ არ დათანხმდებიან. გამორიცხული არაა, „იუვენტუსმა“ „რომას“ ფაბრიციო მიკოლი დაუთმოს და ფული დაუმატოს.

**გაგა ხუციშვილი**

# რობინიოს დედის საქმე ბინ ლადენს დააბრალეს

**პარასკევს** ბრაზილიაში იქაური სახელგანთქმული „ბანდოლეირო“ ანუ ბანდიტი სელიო მარსელო და სილვა, მეტსახელად „ბინ ლადენი“ დააკავეს, რომელსაც შარშან ზამთარს „რეალის“ მოიერიშეს, რობინიოს დედის გატაცება ედება ბრალად. შეგახსენებთ, რომ 2004 წლის დეკემბერში მარინა და სილვა და სოუზა ბანდიტებმა სახლიდან გაიტაცეს და გარკვეული გამოსასყიდის მიღების შემდეგ (200 ათასი ბრაზილიური რეალი, ანუ 65 ათასი ევრო) საღ-სალამათი გაანთავისუფლეს. პოლიციის განცხადებით, გამტაცებლებს სწორედ „ბინ ლადენი“ მეთაურობდა.

სელიო მარსელო და სილვა საშიშზე საშიში კაცია — 2003-ში სან-პაულოს ციხიდან, სადაც მკვლელობისთვის 30 წელი ჰქონდა მისჯილი გვირაბის მეშვეობით გაიქცა. ახლა კი მისი ხელმეორედ დაპატიმრება სამართალდამცავებს ძვირად დაუჯდათ. მარსელომ გააფთრებული სროლისას ორ პოლიციელს მიაყენ მძიმე ჭრილობები. ჰოსპიტალში მოხვდა აგრეთვე „ბინ ლადენის“ საცოლეც, რომლის ვინაობასაც წინანდელი ძალოვნები არ ასახელებენ.



მარინა და მისი ვაჟი რობინიო



„ბინ ლადენი“

**ლადო ხომერიძე**

# ხუანფრანი, ჰოლანდიელთა პირველი ესპანელი

**ვიგოს** „სელტას“ და „ვალენსიას“ ოდინდელი უკანახაზელი ხუანფრანი პირველი ესპანელი ფეხბურთელია, რომელმაც ამსტერდამის „აიაქსის“ მაისურა მოირგო. ხუან ფრანსისკო გარსია „ამსტერდამ არენაზე“ სტამბოლის „ბეშიქთაშიდან“ გადავიდა და იქ ერთი წლის განმავლობაში იჯარით იბურთავებს. ტიტებისქვეყნელთა მთავარი გუნდი ესპანელით ახლა როდი დაინტერესდა, 2003-04-ის ჩემპიონთა ლიგაზე „სელტა-აიაქსის“ თამაშისას ჰოლანდიელებს ვიგოელთა მარცხენა მცველის ოსტატობა მოეწონათ და მას შემდეგ იმყოფებოდა ხუანფრანი ჩრდილოელების სატრანსფერო სამიზნეზე.

ფრანსისკო გარსიას კარიერა „ლევანტეში“ დაიწყო (1994-97), შემდეგ ორი სეზონით „ვალენსიაში“ გადავიდა, სადაც ესპანური კოპა დელ რეი მოიპოვა, ხოლო 1999 წლის „სელტას“ ცისფერი ფორმითაც მოიწონა თავი. თურქეთი და „ბეშიქთაში“ შარშან ზაფხულს დაგემოვნა, თუმცა ახლა კარიერას სტამბოლელ „არწივებზე“ გაცილებით მაღალი საფეხბურთო ტრადიციების მქონე კლუბში განაგრძობს.

**ლადო ხომერიძე**

სარბიელი და კროკო

# წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **ინგლისი. I ლიგა** | | | | | | | | |
| **15 აგვისტო** | | | | | | | | |
| 23:00 | 23 | პორტ ვეილი-ბრენტფორდი | 2,25 | 3.30 | 2.65 | 1.33 | 1.21 | 1.46 |
| **გერმანია. II ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| **15 აგვისტო** | | | | | | | | |
| 22:15 | 91 | ბოხუმი-კოტბუსი | 1.40 | 3.90 | 6.30 | 1.03 | 1.14 | 2.40 |
| **საფრანგეთი. II დივიზიონი** | | | | | | | | |
| **15 აგვისტო** | | | | | | | | |
| 22:45 | 133 | შატორუ-რეიმსი | 1.70 | 3.00 | 4.70 | 1.08 | 1.24 | 1.83 |
| **შვედეთი. სუპერეტა** | | | | | | | | |
| **15 აგვისტო** | | | | | | | | |
| 21:00 | 300 | ვესბი-აიკ | 6.00 | 3.80 | 1.40 | 2.32 | 1.13 | 1.02 |
| 21:00 | 301 | იორებრო-ატვიდაბერგი | 1.75 | 3.40 | 3.80 | 1.15 | 1.19 | 1.79 |
| 21:00 | 302 | ფრიოლუნდა-ლეგერფორსი | 2.15 | 3.30 | 2.80 | 1.30 | 1.21 | 1.51 |
| 21:05 | 303 | ნორჩიოპინგი-ტრელებორგი | 1.90 | 3.30 | 3.20 | 1.20 | 1.19 | 1.62 |
| **ჩეხეთი** | | | | | | | | |
| **15 აგვისტო** | | | | | | | | |
| 18:40 | 241 | ბრნო-ლიბერეცი | 2.50 | 3.00 | 2.55 | 1.36 | 1.26 | 1.37 |
| **ისლანდია** | | | | | | | | |
| **15 აგვისტო** | | | | | | | | |
| 23:15 | 319 | თროტური-ჰაფნარფიორდური | 7.75 | 4.00 | 1.36 | 2.63 | 1.15 | 1.01 |
| **ირლანდია** | | | | | | | | |
| **15 აგვისტო** | | | | | | | | |
| 22:45 | 326 | კორკი-შელბურნი | 1.90 | 3.20 | 3.40 | 1.19 | 1.21 | 1.64 |
| **იტალია თასი** | | | | | | | | |
| **15 აგვისტო** | | | | | | | | |
| 23:00 | 458 | ნაპოლი-რეჯინა | 2.80 | 2.80 | 2.40 | 1.39 | 1.29 | 1.29 |


CROCO BOOKMAKERS
კროკო

**ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქები სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება**

## კროკოს ბიუროთა მისამართები

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში |
| | ალმაშენებლის გამზირი №70 | |
| | გლდანის მასივი, ხიზანიშვილის ქუჩა №4 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან“ (ყოფილი „დელისი“) |
| | წინამძღვრიშვილის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან“ |
| | წერეთლის გამზირი, კორპუსი №11 | |
| | ჭავჭავაძის გამზირი № 41 | |
| | გამსახურდიას გამზირი № 3 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №91 | |
| | იოანე პეტრიწის ქუჩა №13 | დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი |
| | ხუდადოვის ქუჩა №4 | |
| | დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1ა კორპუსი | |
| | მესამე მასივი, ჯავახეთისა და კალოუბნის ქუჩების გადაკვეთა | |
| | მელიქიშვილის ქუჩა №15 | |
| | ისანი -კახეთის გზატკეცილი | ისნის ბაზრობის მიმდებარე ტერიტორია |
| | წერეთლის გამზირი №141 | |
| ქუთაისი | პუშკინის ქუჩა№16 | ტელეკომპანია „ივერიონის“ შენობაში |
| | წმინდა ნინოს ქუჩა № 13 | |
| | ჭავჭავაძის № 67 | ცენტრალური ავტოსადგური |
| გორი | სტალინის ქუჩა №14 | |
| თელავი | „ახალი ავტოსადგური“ ალაზნის გამზირი | |
| ბათუმი | მემედ აბაშიძის ქუჩა № 1 | |
| მარნეული | რუსთაველის ქუჩა №50 | |
| ოზურგეთი | გაბრიელ ეპისკოპოსის ქუჩა №2 | |
| საგარეჯო | დავით ალმაშენებლის №30 | |
| სამტრედია | რუსთაველის გამზირი №27 | |
| ხაშური | რუსთაველის ქუჩა №16 | |
| წნორი | სტალინის ქუჩა №1 | |
| ბორჯომი | რუსთაველის ქუჩა №145 | |
| ზესტაფონი | გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6 | |
| ახალციხე | ნათენაძის ქუჩა №7 | |
| რუსთავი | შარტავას ქუჩა №7 | |

**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

# იტალია. ბორმიოს ოთხთა ტურნირი. „პენტაგონო“

| 11 აგვისტო | 12 აგვისტო | 13 აგვისტო |
| --- | --- | --- |
| **საქართველო 46:75 თურქეთი** | **საქართველო 51:80 იტალია** | **საქართველო 56:79 ბულგარეთი** |
| 15:15 2:22 15:24 14:14 | 10:20 16:29 9:14 16:17 | 13:13 12:19 18:24 13:23 |
| **საქართველო:** გამყრელიძე (5), ა. ბოისა (2), გ. მარკოიშვილი (10), ვ. ბოისა (6), მდივანი (2); ცინცაძე (8), უგრეხელიძე (6), ი. ბერიშვილი (3), საყვარელიძე (2), იმნაძე (2), ხეცურიანი | **საქართველო:** გამყრელიძე (10), ცინცაძე (14), ა. ბოისა (3), ვ. ბოისა (3), უგრეხელიძე (11); მდივანი (7), კეიდია (3), ხეცურიანი, საყვარელიძე | **საქართველო:** გამყრელიძე (7), ა. ბოისა (5), კეიდია (2), ვ. ბოისა (12), უგრეხელიძე (3); ხეცურიანი (11), მდივანი (6), ცინცაძე (5), გ. მარკოიშვილი (3), იმნაძე (2), საყვარელიძე |

# ფრანკფურტში ჰერბერტის ნაკვალევზე



ბუჩაპ ფოლეიფაშვილის ფოტო

## ნაკრები იტალიაში ოთხში მეოთხეა

**საქართველოს** საკალათბურთო ნაკრებმა ბორმიოს ოთხთა ტურნირი სამი მარცხით მოილია და, თუ სიმართლე გინდათ, არასრული და ლიდერებნაკლული ჩვენი ეროვნული გუნდისგან სახელიან გამარჯვებებს არც არავინ ელოდა. გორდონ ჰერბერტის გუნდს მეტოქეებიც სოლიდური ჰყავდა — ოლიმპიური ვიცე-ჩემპიონი იტალია, ნბაელი და ევროვარსკვლავებით მოჭვილი თურქეთი და ბულგარეთი, რომელიც ასევე არ გახლავთ ხელწამოსაკრავი. ბულგარელები წლეულს სერბეთში ევროპის ჩემპიონატზე ითამაშებენ, ხოლო ბორმიოში ჩვენს გარდა თურქეთიც დაამარცხეს და მეორე ადგილი დაიჭირეს. ხოლო რაც შეეხება ჩვენი ნაკრების ახალი თავკაცის აზრს, კანადელი სპეციალისტი იმთავითვე იძახდა, საკონტროლო მატჩებში მოგება-წაგებას დიდ მნიშვნელობას არ ვანიჭებ, გაცილებით მნიშვნელოვანია გუნდის შეთამაშება და ოპტიმალური შემადგენლობის პოვნაო.

დღეს ნაკრები ბორმიოდან გერმანიაში, ფრანკფურტში გაფრინდა და იქ 9 დღე ივარჯიშებს გერმანიის მრავალგზის ჩემპიონ „სკაილაინერზის“ ბაზაზე. სხვათა შორის, ამ გუნდს წვრთნიდა ჰერბერტი და „სკაილაინერზი“ ბუნდესჩემპიონი ერთხელ სწორედ მისი მეთაურობით გახდა.

16 აგვისტოს ნაკრებს შეუერთდება ლიდერი და კაპიტანი ზაზა ფაჩულია, რომელმაც ოკეანგაღმა პირადი საქმეები მოაგვარა — „ატლანტა ჰოქსთან“ ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა. ასევე ვარაუდობენ გერმანიაში ნიკა ცქიტიშვილის და შემონდ უილიამსის ჩასვლას.

ფრანკფურტში შეკრების შემდეგ ნაკრები ბრაუნშვაიგში გაემართება, სადაც კიდევ ერთ ტურნირში ითამაშებს — მასპინძელ გერმანიასთან, ბელარუსთან და ძველ ნაცნობ თურქეთთან. ეს ოთხთა ტურნირი 23-25 აგვისტოს გაიმართება.

ქვემოთ კი გთავაზობთ ბლიც-ინტერვიუს ნაკრების წევრ შიო ხეცურიანთან, რომელიც ბორმიოს შთაბეჭდილებებს გვიზიარებს.

# შიო ხეცურიანი: თანდათან ვუმატებთ



ბუჩაპ ფოლეიფაშვილის ფოტო

— ლიდერების არყოფნაში ასეთ ძლიერ მეტოქეებთან მარცხი მოსალოდნელიც იყო. მთავარია, რომ გუნდი თამაშიდან თამაშამდე უმატებდა, ეს სპეციალისტებმაც აღნიშნეს.

**— ძირითადი შემადგენლობის რამდენიმე მოთამაშის გარეშე ჩატარებული შეკრება რამდენად ნაყოფიერად მიგაჩნია?**

— ბორმიოში ნავარჯიშევ-ნათამაშები შემადგენლობიდან 7-8 კაცი მაინც მოხვდება ნაკრებში. ასე რომ, შეკრება ყველა შემთხვევაში სასიკეთოდ წაგვადგება. რა თქმა უნდა, აჯობებდა, სრული საბრძოლო შემადგენლობით ვყოფილიყავით, მაგრამ ლიდერებისთვის ერთი შეკრების გამოტოვება დიდი დანაკლისი არ უნდა იყოს. ისინი გაცილებით ადვილად აუღებენ მწვრთნელის დავალებებს ალღოს.

**— გორდონ ჰერბერტის ვარჯიშებზე რას იტყვი, რითია გამორჩეული?**

— მთელი ყურადღება დაცვაზე ჰქონდა გადატანილი. არ ვიცი, ამ ეტაპზე გადაწყვიტა ასე, თუ საერთოდ დაცვას ანიჭებს უპირატესობას, მაგრამ ფაქტია, ტაქტიკურად წინსვლა ნაკრებს უკვე დაეტყო. ამაზე თუნდაც ის მეტყველებს, რომ ოთხთა ტურნირის არც ერთ თამაშში ჩვენთვის 80 ქულაზე მეტი არ ჩაუგდიათ. არ გეგონოთ, ვინმემ თავი დაზოგა და შეგვიბრალა. მართალია, ჩვენც ცოტა ქულებს ვაგროვებდით, მაგრამ ის მოთამაშეები, რომლებიც გვაკლდნენ, ძირითადად წინა ხაზში თამაშობენ.

**— ჰერბერტს კენ შილდსი ეხმარება, ამ კაცს ევროპაში ძალიან აქებენ...**

— აშკარად დიდი გამოცდილების მქონე სპეციალისტია. მართალია, თამაში გორდონს მიჰყავს, მაგრამ კომბინაციების შერჩევისას კენიც სერიოზულად აქტიურობს.

**— მორიგ ოთხთა ტურნირს გერმანიაში ითამაშებთ. თუ იცი, იმ დროს მაინც თუ შეგემატებათ ლიდერები?**

— მატება აუცილებლად იქნება, თუმც კონკრეტული პასუხი ცოტა მიჭირს. მხოლოდ ის ვიცი, რომ 16 აგვისტოს ზაზა ფაჩულია შემოგვიერთდება. გერმანიაშივე ჩამოვლენ შემონდ უილიამსი და ნიკოლოზ ცქიტიშვილიც.

**— არ იქნება, თურქეთთან თამაში და ჩხუბი არ გავიხსენოთ. მოვლენების ეპიცენტრში სწორედ შენ იყავი.**

— თურქები მთელი თამაში ძალიან გვეუხეშებოდნენ, მათგან საოცარი აგრესია მოდიოდა. თამაშის ბოლოს ჩვეულებრივი ჯარიმა ავიღე. შოლაქს საჯარიმო სროლა გაუცუდდა და უცებ ბურთი მესროლა. აურზაურიც ამას მოჰყვა. შეხვედრა აღარ გაგრძელებულა, თუმც მოედანზევე შევრიგდით.

**— დღეს მწვრთნელმა დასვენების ნება დაგრთოთ?**

— არა, დღეს ტრენაჟორებზე გვავარჯიშა და გვარბენინა. ხვალ დილით ბორმიოში ბოლო ვარჯიშს ჩავატარებთ და ნაშუადღევს გერმანიაში გავემგზავრებით.

**ოთარ მაღლაკელიძე**



ეროვნული ბიბლიოთეკა

კევინ გარნეტს (უკან) სემ კასელი დააცილეს

# მგლებმა სემი გააგდეს

## ცქიტიშვილს სერბი უპასებს

**„მინესოტა** ტიმბერვულვზის“ საქმეთგამრიგემ კევინ მაკჰეილმა ითმინა, ითმინა და ველარ მოითმინა. კაცს შეიძლება ტრავმაც აპატიო და უარესიც, მაგრამ მაკჰეილი ის კაცი არაა, ვინმეს ამით სპეკულირება და უნიათობა შეარჩინოს. ჰოდა, აიღო 80-იანი წლების ლეგენდარულმა მოთამაშემ და თავისი გუნდის ერთ-ერთი ლიდერი სემ კასელი სადღაც დასალიერში, „ლოს ანჯელეს კლიპერსში“ გაცვალა.

კასელს უამრავი კლუბი გამოუცვლია და ყველასთვის თავისი ხელი დაუტყვია ცოტათი თუ ბევრით, თუმც საუკეთესო სეზონი მაინც „მინესოტაში“ ჩაატარა — 2004 წლის პლეი ოფში კევინ გარნეტთან და ლატრელ სპრიუელთან ერთად „მგლები“ დასავლეთის ფინალში გაიყვანა, პირველად კლუბის ისტორიაში. მაგრამ მერე ტრავმები მოეძალა, საშუალოდ 19,8 ქულა და 7,3 პასი მომდევნო რეგულარულ ჩემპიონატში შესაბამისად 13,5 და 5,1-მდე შეამცირა, თან ერთთავად წუწუნებდა, რამაც მაკჰეილის მოთმინება ზღვრამდე მიიყვანა.

„სემი ცუდი ბიჭი არაა, მაგრამ ჩემი აზრით მისთვისაც და ჩვენთვისაც ასე ჯობდა, გუნდს დაშორებულიყო. მას ახალი გარემო და ახალი დისციპლინარული რეჟიმი სჭირდება, ჩვენ კი პირველ ნომრად ოდნავ მაღალი და ოდნავ ახალგაზრდა ბიჭი მოგვიხდებოდა.“

მაკჰეილმა „კლიპერსიდან“ კასელის ნაცვლად სწორედ ასეთი მოთამაშე წამოიყვანა. 26 წლის და 201-სანტიმეტრიანი სერბი გამთამაშებელი მარკო იარიჩი მარტო გამთამაშებელი კი არა, მსროლელი და გაჭირვებისას ფრთაც კი გახლავთ და თუმც მეტოქე დამცველებს კასელივით მარჯვედ ვერ აბითურებს, სამაგიეროდ მოედნის საპირისპირო, ანუ საკუთარ ნახევარზე ბევრად საიმედოა, დაცვაში რიგიანად ირჯება. შემტევი და მეძულე კი „მინესოტას“ ისედაც არ აკლია.

ამგვარად გარნეტს, სპრიუელს და — ბარემ ჩვენებურიც ვახსენოთ — ნიკა ცქიტიშვილს ევროპელი მეპასე ეყოლებათ. გუნდში ბევრი რამ შეიცვალა და თუ საჭიროდ ჩათვალა, მაკჰეილი კიდევ ბევრს შეცვლის, ოღონდ „მგლები“ პლეი ოფში დააბრუნოს.

# შერიფი მეფესაც სჭირდება

**ცოტა** უცნაურია — კაცს ორი ოლ სტარი გქონდეს ნათამაშები, კისერზე ოლიმპიური ოქრო გეკიდოს, საბანკო ანგარიშზე 40-50 მილიონი გერიცხებოდეს და ამ დროს ერთი პლეი ოფი რაა, ისიც არ გქონდეს ნათამაშები.

სხვაგან რა ხდება, ნუ გავარჩევთ, ნბა-ში კი ასეა, ვარსკვლავების სიდიდე ოლ სტარების და მილიონების ოდენობით კი არა, პირველ რიგში პლეი ოფში ყოჩაღობით იზომება და შარიფ აბდურ-რაჰიმსაც ეს აწუხებს. 9 წელია ნბაშია, რიგიანი ჯეელის სახელი დაიგდო — მოედანზეც და მისგარეთაც — მაგრამ პლეი ოფში არასდროს უთამაშია და გადაწყვიტა, ამ გაუგებრობას ამ სეზონშივე მოუღოს ბოლო — დავარდნილი „პორტლენდიდან“ გამოქცეულმა გუნდიც სწორედ რომ საპლეიოფე შეარჩია.

აბდურ-რაჰიმი თავდაპირველად „ნიუ ჯერსიში“ აპირებდა გადაბარგებას, ტრანსფერი თითქმის გაჩარხული იყო, თუმც მერე ნიუჯერსელებს ჩიტმა ამბავი მიუტანა, შარიფმა ვარჯიშზე მარჯვენა მუხლი სერიოზულად დაიზიანაო და იმათმაც ამაო ქვა მიაგორეს.

შარიფმა მაინც იოლად ნახა შესაფერისი გუნდი — „საკრამენტო კინგზმა“ ისე აიყვანა, დიდად არ უკვლევია მისი მუხლის ამბავი. კონტრაქტის პირობებს არ იუწყებიან, თუმც „საკრამენტომ“ მას სავარაუდოდ არცთუ უხვად შეაძლია მილიონები — დაახლოებით 5-6 წლიური მილიონი თუ მისცაო, ანგარიშობენ შარიფის ამბის პირველდამწერნი. თავისთავად 5 და 6 მილიონი თვალს ვერ მოსჭრის მოთამაშეს, რომელიც წინა სეზონში 14 მილიონს იღებდა, მაგრამ აბდურ-რაჰიმი კიდევ და კიდევ განკვიმარტავს, ჩემთვის მთავარი პლეი ოფის სურნელის შეტკბობააო.

ისე კი, აბდურ-რაჰიმს 9 წლის განმავლობაში ნბა-ს 3 გუნდში უთამაშია — „ვანკუვერში“, „ატლანტასა“ და „პორტლენდში“ და საშუალოდ 19,9 ქულა და 8,1 მოხსნა უხვეჭია. ასე რომ აგროვის ქულა-მოხსნები, ძალლი ვერც მას და ვერც მის ახალ გუნდს ვერ შეუყეფს.

**კოტე ყორშია**

# ავსტრალიელთა სიამაყე ტელსტრაზე დაიმარხა

13 აგვისტო. სიდნეი

**ავსტრალია 13:30 ახ. ზელანდია**

**ავსტრალია:** დრიუ მიტჩელი, მარკ ჯერარდი, სტერლინგ მორტლოკი, მორგან ტურინუი, ლოუთ თუქირი; მეტ გიტო, ჯორჯ გრეგანი (კაპ); დევიდ ლაიონსი, ჯორჯ სმიტი, ჯონ რო, ნათან შარპი, დენიელ ვიკერმანი, ალ ბაქსტერი, ჯერემი პოლი, ბილ იანგი
**შეცვლაზე შევიდნენ:** კლაიდ რეთბოუნი, ელტონ ფლეტლი, კრის ვაითეკერი, ფილ ვუ, მარკ ჩიშოლმი, ბრენდან ქენონი, მეტ დანინგი

*1 ლელო: მიტჩელი, 1 გარდასახვა: გიტო; 2 საჯარიმო: გიტო*

**ახალი ზელანდია:** მილს მულიაინა, რიკო გირი, ტანა უმაგა (კაპ), აარონ მაუგერი, ჯო როკოკოკო; დენ კარტერი, პირი უიიპუ; როდნი სოოიალო, რიჩი მაკქოუ, ჯერი კოლინზი, ალი უილიამსი, კრის ჯეკი, კარლ ჰაიმანი, კევენ მეალიმუ, ტონი ვუდკოკი
**შეცვლაზე შევიდნენ:** ლიუკ მაკალისტერი, მარტი ჰოლა, ჯეიმს რაიანი, გრეგ სომერვილი, დერენ უიტკომბი

*3 ლელო: უიიპუ, მაკქოუ, როკოკოკო; 3 გარდასახვა: კარტერი (2), მაკალისტერი; 3 საჯარიმო: კარტერი*

**სიდნეის** „ტელსტრა სტედიუმზე" შაბათს ავსტრალიამ ახალი ზელანდიისგან სირცხვილი ჭამა და წლეულს სამი ერის თასის მოგების თეორიული შანსიღა შერჩა.

13:30 — ასეთია მატჩის შედეგი, რომელშიც „შავებმა" მასპინძელ „ვოლაბებს" ყველა სარაგბო კომპონენტში აჯობეს. მიუხედავად კარგი დებიუტისა, „ვოლაბებს" მომხვდურებთან ჭიდილის შნო ერთი სრული ტაიმისთვისაც კი არ ეყოთ. მეთორმეტე წუთის შემდეგ, ანუ მას მერე, რაც ანგარიში 13:0 გახდა ავსტრალიელთა სასარგებლოდ, ინიციატივას მთლიანად სტუმრები დაეუფლნენ და დარჩენილ 68 (!) წუთში ავსტრალიელებს ლელო კი არა, კინკილა საჯარიმოც კი არ გაატანინეს.

შერკინებაში მომხვდურებმა დამხვდურებს პირწმინდად აჯობეს. ფიზიკურადაც უკეთ გამოიყურებოდნენ და სწრაფად აზროვნებაშიც ხომ ახლოს არ დაიყენეს მეტოქე. ამას გარდა აუტებიც უკეთ მოაწოდ-დაიჭირეს.

ახალზელანდიელებმა მატჩის პირველი წუთებიდანვე შეუტიეს მასპინძლებს და თითქოს მათ ნახევარზე უნდა გამაგრებულიყვნენ კიდეც, მაგრამ ავსტრალიელებმა პირველი იერიში წარმატებით მოიგერიეს და სულ მალე საჯარიმოს დარტყმის საშუალება მიეცათ. გიტომ ამოცანას წარმატებით გაართვა თავი და ანგარიში გახსნა. 3:0 — ავსტრალია დაწინაურდა და რამდენიმე წუთში იმავ გიტომ კიდევ ერთხელ იხეირა საჯარიმოდან. 6:0 მეთორმეტე წუთამდე აღარ შეცვლილა.

დრიუ მიტჩელმა შერკინებიდან ბურთი გამოაძრო, ძვირფასი პირმშოსავით მიიკრა გულზე და პირველ შემხვედრ დანიელ კარტერს უთაქა, არ მომეკაროო. ახალზედანდიელებმა საფრთხე იგრძნეს და მიტჩელის შესაჩერებლად გაიქაჩნენ, თუმც, კარტერის მსგავსად, არც მულიაინასა და კოლინზს გამოუვიდათ რამე — მიტჩელი ჩათვლის მოედანში შეძვრა. იხუვლეს „ტელსტრას" ტრიბუნებმა, გიტომ გარდასახვაც გაიტანა, მასპინძლები 13:0 დაწინაურდნენ და სიდნეიში გამარჯვების სურნელი დატრიალდა, მაგრამ...

ეს იყო უკანასკნელი ღირებული რამ, რაც ოზებმა ამ თამაშში შეძლეს. შესვენებამდე ასე თუ ისე კიდევ იგერიებდნენ ზელანდიელთა შემოტევებს, თუმცა მაორებმა 10 ქულის აღება მაინც მოახერხეს. 5 ქულა სტუმრებს უიიპუს ლელომ მოუტანა, დანარჩენი კი კარტერის საჯარიმომ და გარდასახვამ.

მეორე ტაიმში ერთი გუნდი რაგბის თამაშობდა, მეორე კი ცდილობდა, მისთვის ხელი შეეშალა. ორჯერ ჩაშალეს შერკინება ავსტრალიელებმა. პირველად ეს „გმირობა" ბილ იანგმა ჩაიდინა, მეორედ კი შეცვლაზე შესულმა მეტ დანინგმა. ორივე შემთხვევაში დენ კარტერმა ზუსტი საჯარიმო დარტყმებით დასაჯა მასპინძლები და ახალი ზელანდია 16:13 დაწინაურდა.

კარისაკენ კიდევ ერთხელ დარტყმა კარტერს რიჩი მაკქოუს ლელოს შემდეგ მოუწია — 23:16-ზე ეჭვი აღარავის შეჰპარვია, რომ სტუმრები შინ გამარჯვებულნი გაბრუნდებოდნენ. საკითხავი ისღა იყო, რამდენი ლელოს დადებას მოასწრებდნენ ახალზელანდიელები. კიდევ ორჯერ რომ ეხეირათ, მოგებისთვის გამოწერილ 4 ქულას 1 ბონუს ქულასაც მიათვლიდნენ, თუმცა „შავებმა" მხოლოდ ერთხელღა მოახერხეს გალელოვება.

მატჩის ბოლო წუთები მიდიოდა. ავსტრალიელებმა ჯიქურ შეუტიეს, თუმცა მათ იერიშს სალი აზრი აკლდა და ძალაზე უფრო იყო გათვლილი. მაკქოუმ ავსტრალიელებს ბურთი გამოჰგლიჯა და კონტრშეტევა წამოიწყო. საბოლოოდ ბურთი როკოკოკომ მიიღო და ორმოციოდე მეტრი გაირბინა, სანამ „ვოლაბთა" ჩათვლის მოედანზე შეფრინდებოდა.

დენ კარტერს ტრავმის გამო მოედანი უკვე დატოვებული ჰქონდა, თუმცა მის ნაცვლად შემოსულმა ლუკ მაკალისტერმაც შესანიშნავად გაართვა თავი დაკისრებულ მოვალეობას და გარდასახვა გაიტანა.

30:13 ახალმა ზელანდიამ სიდნეიში იმარჯვა, ბლედისლოუს თასი შეინარჩუნა და სამ ერზე გამარჯვების შანსებიც ერთიორად გაზარდა.

**ლადო ფულუკიძე**



ავსტრალიელებს მესამე ლელო ჯო როკოკოკომ გაუტანა

| | თ | მ | ფ | წ | შ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| სამხრეთ აფრიკა | 2 | 2 | 0 | 0 | 44:32 | 0 | 8 |
| ახალი ზელანდია | 2 | 1 | 0 | 1 | 46:35 | 1 | 5 |
| ავსტრალია | 2 | 0 | 0 | 2 | 29:52 | 1 | 1 |



# ბრაზილიელი ქართველები

## საპლაჟო სიახლე: ოქროს პერსპექტივა



ვაჟა ფოლადაშვილის ფოტო

ლევან ახვლედიანი მომავალს იმედით უყურებს

**პლაჟის** ფრენბურთი საქართველოში სპორტის იმ სახეობებში შედის, რომელთა დიდ პერსპექტივებზე ჯერჯერობით არავინ ლაპარაკობს. არადა, სულ რაღაც თვეებში ეგებ მოვლენები ისე განვითარდეს, პერსპექტიულ სახეობათა სათავეშიც მოექცეს და პეკინის 2008 წლის ოლიმპიადაზე მედლებისთვის მებრძოლ სახეობებში გაერიოს.

როგორც გუშინ შევიტყვეთ, საქართველოს ფრენბურთის ფედერაცია სერიოზულად დაინტერესებულა ნაკრებში ძლიერი უცხოელების მოწვევით და ამ საკითხთან დაკავშირებით ბრაზილიის ფედერაციასთანაც წამოუწყია საუბარი. ბრაზილიელები რომ სპორტის ამ სახეობაში აშკარად ძლიერები არიან, ნებისმიერ დიდ ტურნირზე ამტკიცებენ. ბრაზილიაში კონკურენციაც იმხელაა, ლამის მთელ ევროპას გასწვდება. ჰოდა, ბევრი პერსპექტიული სპორტსმენი სხვა ქვეყნის მოქალაქეობას ეშურება დიდი ტურნირებისკენ მიმავალ გზაზე უფრო ადვილად შესადგომად.

„კონკრეტულ გადაწყვეტილებამდე ჯერ შორია, მაგრამ გვჯერა მოვლენები ისე განვითარდება, როგორც ჩვენ გვინდა — გვითხრა გუშინ საქართველოს ფრენბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ლევან ახვლედიანმა — ბრაზილიის ფრენბურთის ფედერაციის პრეზიდენტთან საკმაოდ ახლო ურთიერთობა მაქვს და ამ სკითხზეც გვისაუბრია. ახლო მომავალში კვლავ შევხვდებით და იმედია, საბოლოოდ შევთანხმდებით."

ახვლედიანს, ცხადია, სავარაუდო ნატურალიზირებულ ქართველებზეც დავეკითხეთ, მაგრამ მათი ვინაობა ჯერ ვერ დაგვისახელა. მხოლოდ ის გვითხრა, ორი ახალგაზრდა სპორტსმენია, დიდ არენაზე ჯერაც რომ არ გასულაო. თუმც მათ პერსპექტიულობას ისიც ადასტურებს, რომ. ათენის ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიოს ჩემპიონატის მომგები წყვილის, რიკარდოსა და ემანუელის სპარინგები არიან და ერთი მწვრთნელი, გვარად როსინი ავარჯიშებთ.

ქართულ-ბრაზილიური მოლაპარაკება სავარაუდოდ აგვისტოს ბოლოს ათენში, მსოფლიო ტურის პარალელურად შედგება

ამჯერად სასაუბრო თემა მხოლოდ ის ორი მამაკაცი ფრენბურთელი იქნება. სამომავლოდ კი ალბათ ახალი ქართველი ქალებიც გამოჩნდებიან. თუ მხარეები ათენშივე შეთანხმდნენ, მოსაგვარებელი მხოლოდ ფორმალური საკითხებიღა დარჩება. ერთ-ერთი მათგანი საერთაშორისო ფედერაციის თანხმობა იქნება. პრეზიდენტი იმედიანადაა, მომავალი წლიდან მსოფლიოს ტურებზე ქართველ ქომაგებსაც გვეყოლება საქომაგო სპორტსმენებიო.



ოლიმპიური ჩემპიონების რიკარდოსა და ემანუელის სპარინგებმა შესაძლოა საქართველოს სახელით ითამაშონ

**ოთარ გაღლაძელიძე**

## ROGERS MASTERS

**მონრეალი. მაგარსაფარი**
**საპრიზო 2,2 მილიონი $**

### მეოთხედფინალი

**რაფაელ ნადალი** (1, ესპანეთი) — მარიანო პუერტა (8, არგენტინა) 6:3 6:1; **ანდრე აგასი** (4, აშშ) — გასტონ გაუდიო (6, არგენტინა) 6:3 6:4; **გრეგ რუზეცკი** (ბრიტანეთი) — დომინიკ ჰრბატი (სლოვაკეთი) 6:3 6:4; **პოლ-ანრი მათიო** (საფრანგეთი) — კაროლ ბეკი (სლოვაკეთი) 6:1 6:2

### ნახევარფინალი

**ნადალი** — მათიო 6:4 7:5; **აგასი** — რუზეცკი 6:4 6:4

**გუშლამ**, ოდეს ამ სტრიქონთა შრომამოთეული ავტორი დღის განმავლობაში დასიცხულ გულგვამს „ჰერცოგის" მაცოცხლებელი ყლუპებით იგრილებდა, მონრეალის „იუნიპრი სტადიუმზე" „ასაკთა ბრძოლად" სახელდებული ფინალი უნდა შემდგარიყო.

19 წლის მალიორკელი ფასკუნჯი რაფა ნადალი, ვისაც წლეულს რვა თიხნარტიტული უკვე მოემკა, კარიერის პირველი სამგარსაფრო ჯილდოსთვის პირველადვე უნდა რკენოდა ყველა დროის ერთ დიადთაგან ბერიკაცს, 35 წლის არმენოამერიკელ ანდრე აგასის.

ბოლოჯერ ასეთი ასაკობრივი სხვაობა კაცთა ფინალში 1979 წლის თელავივობაზე აღინიშნა, როცა 35 წლის ჰოლანდიელმა ტომ ოკერმა 19 წლის შვედ პერ ჰიერკვისტს აჯობა.

შეძლო თუ არა იმავის გამეორება გუშლამ ტურნირის სამგზის (1992, 94 და 95 წლების) ჩემპიონმა აგასიმ თუ მისი ბრძნული გარჯა მაინც ამაო გამოდგა ნადალის ჭაბუკური ყინიანობისა და სიმუშპრის წინააღმდეგ, ამაზე ჩვენ ხვალ წავისაუბრებთ.

დღეს კი ხამს, თხრობა იქიდან გავაგრძელოთ, სადაც შაბათს შევჩერდით ანუ — მეოთხედფინალებიდან.

ამ ეტაპზე დიდ ინტერესს იწვევდა წლევანდელი როლანგაროსული ფინალის რემატჩი, რომელშიც მარიანო პუერტა ნადალზე შურისგებას უნდა ცდილიყო. მაგრამ განსხვავებით პარიზული განდაგანიდან, პუერტამ ყმაწვილ მეტოქეს ფიორა წინააღმდეგობაც ვერ გაუწია და, სეტის მოგებას ვინ ჩივის, ოთხი გეიმი ძლივს გააგდებინა.

იმ დღესვე უნდა გვეხილა ნადალის მერე წლეულს ყველაზე წარმატებული მეთიხნარის, არგენტინელი გასტონ გაუდიოსა და აგასის შეხლაც, თუმცა მონრეალურმა კათხისპირულმა წვიმამ ოდენ ერთი სეტის ყურება გვაცალა. მაგრამ მეტეფი გრაფის მეუღლემ უკვე ამ სეტშივე მოასწრო, თავის შეუცილებელ უპირატესობაში მეტოქეც დაერწმუნებინა და მადლიერი მაყურებელიც. იმავის გამეორება მას არც მეორე დღეს გასჭირვებია და ამიტომ იყო, გაუდიოსთან მეხუთე დაპირისპირებაში მეოთხე გამარჯვება ასე იოლად რომ მოაკვარახჭინა.

ფრანგმა პოლ-ანრი მათიომ, რომელმაც პირველ წრეში რომ შარშანწინდელი ჩემპიონი და შარშანდელი ფინალისტი ენდი როდიკი გააბუნძულა, თამაში მომდევნო წრეებშიც ბარაქიანად განაგრძო და წინა დღეს მეხუთე ნომრად განთესილ ნიკოლაი დავიდენკოს მაოტარი კაროლ ბეკი პარასკევს სრულიად უპრობლემოდ დაამორჩილა.

მეოთხე მეოთხედფინალში კი, რომელიც წვიმის გამო ასევე შაბათს გაიმართა, მონრეალში დაბადებულგაზრდილმა გრეგ რუზეცკიმ ზედმეტი ოფლიანობის გარეშე სძლია მეორე სლოვაკ დომინიკ ჰრბატს.

# შარაპოვა პარასკევს ვერ შესწვდა
## საქალეთში ტრავმოეპიდემია მძვინვარებს



შაბათსვე შედგა ნახევარფინალური შეხლებიც და, მართალია, გამარჯვებულებმა აქაც სეტისწაუგებლად გაივაკეს, ნადალს დასტურ იმაზე მეტად გაუჭირდა მათიოს ძლევა, ვიდრე აგასის — რუზეცკისა.

და ეს არც უნდა გაგვიკვირდეს, რაკილა 23 წლის მათიომ ამ ტურნირზე ისეთივე ეშხიანი და დახვეწილი ჩოგბურთი აჩვენა, როგორითაც რომ 2002-ში მოსკოვურსა და ლიონურ ტურნირებზე კარიერის პირველი ჯილდოები მოიმკა.

მაგრამ საქმეში ჩახედულთ ისიც ეხსომებათ, რომ მან იმავე წლის პარიზული დევისფინალის გადამწყვეტ მატჩში ორი სეტით დაწინაურებულმა მიხაილ იუჟნისთან მიჯრით სამი საბედისწერო სეტის წაგება „მოახერხა".

არავინ იცის, სწორედ იმ, ჭეშმარიტად მატრავმირებელი ამბის მერეა თუ მათიოს არც მანამდე უვარგოდა ნერვები, მაგრამ იმას კი ლუდი არ გაუვა, რომ იუჟნისთან წაგებული მატჩის მერე ფრანგი მეჩოგნე ვერასგზით ახერხებს ამქარში მისი ტალანტის შესატყვისი ალაგის დაკავებას.

საკუთარ ძალებში დაურწმუნებლობისა და არამყარი ნერვული სისტემის დამთრგუნველი გავლენა მის ჩოგნაობას უწინარესად გადამწყვეტი გათამაშებებისას ეტყობა. ასე იყო ნადალთან შეხვედრაშიც, როცა არცთუ იშვიათად ესპანელზე უფრო მრავალფეროვნად, აგრესიულად და ბასრად მოსარჯეს სწორედ საქულე, გარდამტეხი დარტყმების შესრულებას ვერ ახერხებდა.

მართალია, მეორე სეტის მეათე გეიმში მან ის მაინც შეძლო, ნადალისთვის ამ ტურნირზე პირველი მოწოდება გაეგდებინებინა, მაგრამ ეს იმიტომ გამოუვიდა, რომ დასაკარგი არაფერი ჰქონდა. 5:5-ზე კი, როცა თავის მოწოდებაზე უკვე ვალდებული იყო, დაწინაურებულიყო, ჩოგანი აუკანკალდა და გადამწყვეტ მომენტში ორმაგად მიჰქარა.

რაღა ბევრი გავაგრძელოთ, ამ მატჩში კიდევ ერთხელ გამოჩნდა, რომ ნადალიც ისეთივე მოწყვლადი მეჩოგნეა, როგორც სხვები, ოღონდ სხვებისგან განსხვავებით, ის შანსების გამოუყენებლობას არ ჰპატიობს.

სხვათა შორის, ეს მისი 64-ე საამსეზონო გამარჯვება გახლდათ (8 მარცხის წილ) და ამ მაჩვენებლით ის ამქრის უდავო ლიდერი გახლავთ. როჯერ ფედერერი — შესადარებლად — წლეულს 3 მარცხის წილ 58 გამარჯვებას დაიკვეხს.

რაც შეეხება აგასისა და რუზეცკის ნახევარფინალურ შეხლას, რვაგზის სლემტიტულოსანმა ობობამ ეს მატჩი ტაქტიკურად უნაკლოდ ჩაატარა, მეტოქე ჩუბინი ნაუკანახზევი გლაჯუნით შებორკა და აგრესიულად თამაშის საშუალება მოუსპო.

შეგახსენებთ, რომ გუშლამ მას თავისი 89-ე რაგინდარა, ხოლო 22-ე სამასტერსტურნირო ფინალი უნდა ეთამაშა. მისი აქამომდელი ბალანსი პირველ „კატეგორიაში" 60:28 იყო, მეორეში კი 17:4. თავისი ბოლო, მე-60 ტიტული მან, ვინძლო, არ დაგვიწყებიათ, ორი კვირის წინ ლოსანჯელესობაზე იშოვა.

## JPMORGAN CHASE OPEN

**კარსონი. მაგარსაფარი**
**საპრიზო 585 ათასი $**

### მეოთხედფინალი

**დანიელა ჰანტუხოვა** (9, სლოვაკეთი) — მარია შარაპოვა (1, რუსეთი) *შარაპოვამ ვერ ითამაშა;* **ელენა დემენტიევა** (3, რუსეთი) — ტატიანა გარბინი (იტალია) 6:1 6:1; **კიმ კლაისტერსი** (5, ბელგია) — ნადია პეტროვა (4, რუსეთი) 6:4 6:2; **ფრანჩესკა სკიავონე** (13, იტალია) — კონჩიტა მარტინესი (ესპანეთი) 7:5 6:4

### ნახევარფინალი

**ჰანტუხოვა** — დემენტიევა 6:3 6:4; **კლაისტერსი** — სკიავონე 6:2 6:4

**გაციებამ** და მკერდის დაჭიმულობამ მთელი ძალით თამაში მაშა შარაპოვას უკვე მესამე წრეში, თვისტომ ანა ჩაკვეტაძის წინააღმდეგ დაუშალა. ხოლო დანიელა ჰანტუხოვასთან სათამაშო მეოთხედფინალის წინ ყელ-ყურ-ცხვირისა და მკერდის ტკივილი უკვე ისეთი გაუსაძლისი გაუხდა, რომ 18 წლის რუსგოგომ სულაც კორტზე გაუსვლელობა არჩია.

არადა, იმ მატჩში რომ ემარჯვა — და ეს თქვენც არ უნდა დაგვიწყებოდათ — მყისვე ამქრის სეფეჩოგანს ჩაიბარებდა.

თუმცა უახლოეს დღეებში მაშას მისი მშვენიერი სხეულის უკლებლივ ყველა მონაკვეთიც რომ ატკივდეს, რასაც ჩვენ, ბუნებრივია, მას სულაც არ ვუსურვებთ, მომავალ ორშაბათს ის მაინც უთუოდ და უთუმცაოდ დაიკავებს მსოფლიო რეიტინგსის უზენაეს საფეხურს.

ეს კი იმიტომ მოხდება, რომ ამჟამინდელი პირველოსანი ლინდსი დევენპორტი, ვინაც საამმომენტოდ მაშას ოდენ 23 ქულით უსწრებს, ამ კვირის განმავლობაში ერთბაშად 175 ქულას მოისაკლისებს და ავტომატურად მის ზურგსუკან ამოჩნდება.

საქმეში უფრო ღრმად ჩახედვის მსურველთ ამ 175 ქულის ავან-ჩავანსაც შევახსენებთ. ეს ის მარაგია, რაიც ლინდსიმ შარშან 15-დან 22 აგვისტომდე ცინცინატურ ტურნირზე გაჩემპიონებით მოინაგრა და რასაც ახლა იმის გამო დაკარგავს, რომ მისი დაცვის მაგიერ ახლა იძულებულია, წელის ტრავმა მოიშუშოს.

მოკლედ — იქიაა ორშაბათს შარაპოვა ყველა ვარიანტში გახდება პირველი რუსი ქალი, ქალთა ამქრის სათავეში რომ დაივანებს. საერთოდ კი ის იქნება უკვე მე-15 ქალმეჩოგნე, ვისაც ქულათა კომპიუტერული დარიცხვის შემოღებიდან (ანუ 1975 წლის მერე) დღემდე ამგვარი პატივი ეღირსება. მისი 14 წინამორბედის ვინაობას — ამქრის კენწეროში მათ მიერ გატარებული კვირების რაოდენობიურთ — ჩვენ მაშას გაპირველოსნების შემდეგ შეგახსენებთ.

საქმეს კი ისეთი პირი უჩანს, რომ სეფეჩოგნის ჩაბარებას მაშა მაინც ჩოგნის გაუნძრევლად ეცდება. საქმე ის გახლავთ, რომ ამ კვირაში გასამართ ტორონტოულ ტურნირზე მან სამონაწილეო განაცხადი კი შეიტანა, მაგრამ როგორც თავადვე ამბობს, მისი იქ გამოსვლის შანსები — ისევ და ისევ ტრავმის გამო — მეტისმეტად მცირეა.

საერთოდ ქალთა ზეპურ მარაქაში ახლა მართლაც ეპიდემიური ტრავმიანობაა. უკანასკნელი სამი კვირის განმავლობაში ამა თუ იმ ტრავმის გამო ტურნირებზე გამოსვლა იუარა ან შეწყვიტა ქალთა მარტო ზეთერთმეტეულის შვიდმა წარმომადგენელმა.

ზეპურ დაშავებულთა შორის — უკვე ხსენებულთა, შარაპოვასა და დევენპორტის გარდა — ასევე იყვნენ ან ახლაც არიან დები უილიამსები, ჟუსტინ ენენ-არდენი, მარი პირსი და ნადია პეტროვა.

თავად მეჩოგნენი ამგვარი ლიანგური ტრავმიანობის მიზეზად საჩოგბურთო სეზონის უკიდურეს გადატვირთულობასა და სიროთულეს ასახელებენ. აქაურ... საფარზე გადაადგილებაც ..., დიდი მუზარადის სამი საზაფხულო ტურნირიც ერთმანეთთან ძალიან მიჯრილია და საერთოდაც, თქვენ შემოგევლეთ — ცოტა ამოგვასუნთქონო.

მაგრამ ქალთა ჩოგბურთის მახვში ლარი სკოტი საგანგაშოს ამაში ვერაფერს ხედავს და ამბობს, რომ ტრავმები ყველა სპორტის მიუცილებელი ნაწილია.

რაც მთავარია, კორტებისკენ გული და ჩოგანი თავად მეჩოგნეებსაც მიუწევთ, რადგანაც იქ, ტრავმების გარდა, ზორბა მაყუთიცა და წარუვალი დიდებაც იღება.

ასე რომ, აშშ-ის ღია პირველობისთვის ქალთა ყველა სახელიან მდედრს მაინც მწყობრში უნდა ველოდოთო, ამბობენ ჩვენი ოკეანისგაღმელი კოლეგები...

სხვაფრივ კი — შარაპოვას არყოფნაში მის მიერ გასაიმასქნებელმა ჰანტუხოვამ გაილაღა და ნახევარფინალში თავად გაიიმასქნა რუსთაგან უსათნოესი ელენა დემენტიევა. 22 წლის წანწკლა სლოვაკმა ჩინებულ მოწოდებას ჩინებულივე ხელწამდები შეუხამა და ბოლო ერთი წლის განმავლობაში თავის პირველ ფინალს უწია.

საკუთრივ დემენტიევასთვის მას ბოლოჯერ 2002-ში მოეგო. თუ გახსოვთ, ის წელი სულაც საუკეთესო იყო მის კარიერაში. ეს სწორედ იმ წელს იყო, ინდიანუელსობის ფინალში მარტინა ჰინგისს რომ სძლია და კარიერის პირველი ტიტული მოირეწა, მერე კი კიდევ ექვს ტურნირზე სულ მცირე ნახევარფინალს უწია და სეზონის რეიტინგსის მე-8 საფეხურზე გაასრულა.

რიგიანად დაიწყო მან მომდევნო სეზონიც და ერთი პირობა ამქრის ზეხუთეულშიც აღზევდა, მაგრამ მერე პირადულ პრობლემებს ჩაეთრევინა და 2003 მიწურულს უკვე მე-19-ზე ჩაცურებული მერე და მერე სულ უფრო თავქვე მიექანებოდა.

წლეულს დანიელა 17 მარცხის წილ 23 გამარჯვებას მოითვლის და თებერვალში დოჰაობის, ხოლო ახლახანს ცინცინატობის ნახევარფინალშიც ითამაშა. მართალია, ეს საარაკო მიღწევები სულაც არ გახლავთ, მაგრამ ეგებ ამ უდავოდ ნიჭიერი გოგონას მეორდაბადების საწინდრად მაინც გამოდგეს.

ფინალში კი მას კიმ კლაისტერსთან უნდა ეჩოგნავა, ფუმფულა და ლონიერ ბელგიელთან, ვინაც მას აქამდე ექვსჯერ შეხვედრია და ექვსჯერვე მოუთელავს.

კიმი ახლაც ბომბა ფორმაშია და ნახევარფინალში რომ რუს პეტროვას მოუგო, ამით (6 მარცხის წილ) 44-ე საამსეზონო გამარჯვება მოითვალა. ამდენ მოგებას კი წლეულს ამქარში ერთი ახტაჯანაც ვერ დაიკვეხს.

მისი ამჟამინდელი ბობოქარი გარჯის მიღმა აქა-იქ მისი ახალი კაცის, ამერიკელი ბრაიან ლინჩის მასტიმულირებელ ზეგავლენასაც ჭვრეტენ. ოღონდ ამ ბრაიანს კიმი, ეტყობა, კორტზე მაინცდამაინც არ ხიბლავს, თორემ იმ დღეს მისი და პეტროვას სანახევარფინალო დაპირისპირებისას კიმის ნაჩუქარი წინის შინ საკითხად არ დარჩებოდა.

თუმცა ბელგოგოს ეს არ აღარდებს. მეც ეგეთი ხალხი მირჩევნია, ჩემი თამაშისას კორტზე რომ არ ყიყინობსნობენო.

**ლევან ძელაურაძე**

## მსოფლიოს ჩემპიონატი. ჰელსინკი. 6–14 აგვისტო

HELSINKI August 6–14 2005
IAAF World Championships

# ლამაზი, მხიარული და სასწაულმხტომელი ლენა



**ელენა ისინბაევა** ნახტომისთვის მოემზადა, რაღაც ჩაიბუტბუტა და... რამდენიმე წამში „ოლიმპიური სტადიონის“ ტრიბუნები აღრიალდნენ: 5,01 მეტრი! — მსოფლიოს რეკორდი დამყარებულია.

კეთილი, ისინბაევამ რეკორდი დაამყარა და ეს სრულიად ჩვეულებრივი სახელწოდების მქონე სარბიელზე, „ოლიმპიურ სტადიონზე“ გააკეთა, მაგრამ უკაცრავად და რომელ ქალაქში ვათ? ათენში? რომში? მიუნხენში?... რა გასაკვირია უეცრად რომ დაგვეიწყებოდა, ისინბაევა ხომ ნებისმიერ შეჯიბრებაში მსოფლიო რეკორდს ამყარებს.

ჰო, გაგვახსენდა, ამჯერად ეს ჰელსინკიში, მძლეოსანთა მსოფლიოს მეათე ჩემპიონატზე მოხდა.

ამბობენ, ელენა ისინბაევაზე ფილმი რომ გადაიღოთ, ერთადერთი პერსონაჟი, რომელსაც მასში აუცილებლად მოუწევდა მოხვედრა და რომლისაც მთავარ გმირს შეშურდებოდა, უკრაინელი სერგეი ბუბკა იქნებოდა. რაა გასაკვირი, ბუბკა ვაჟ ჭოკით მხტომელთა და საერთოდ მსოფლიო მძლეოსნობის ლეგენდაა, რომელსაც ქალთაგან მხარში ამოდგომას აგერ ელენა ისინბაევა უბედავს და უნდა ვაღიაროთ, რომ საკმაოდ ღირსეულადაც. მართალია, მიჯრით დამყარებულ მსოფლიო რეკორდთა რაოდენობაში რუსი გოგო უკრაინელ ვეტერანს ჯერ ბევრად ჩამორჩება, მაგრამ ჯერ ერთი 23 წლის ქალს ყველაფერი წინ აქვს და მეორეც, რაც გააკეთა, უკვე დიადი და განუმეორებელია.

ისე, ისინბაევასთვის პარასკევი ეტყობა ბედნიერი დღეა, პარასკეობით ბედის ზურგქარი გარანტირებული აქვს. ამას რატომ ვამბობთ? შეგახსენებთ, რომ სამი კვირის წინ სწორედ პარასკევს დაამყარა ვოლგოგრადელმა გოგომ უნიკალური რეკორდი — შეიქნა პირველი ქალი, რომელიც 5 მეტრზე გადებულ თამასას გადაევლო. აქვე დავძინოთ, რომ იმ დღეს მან ერთბაშად 4 სანტიმეტრით გააუმჯობესა თავისივე წინა რეკორდი, რაც იმ სპორტსმენისთვის, რომელიც რეკორდთა რაოდენობის რეკორდზე ფიქრობს, ძალიან უცნაურია. განა არ შეეძლო ისინბაევას ხუთ მეტრამდე თითო სანტიმეტრის მომატებით მისვლა? ცხადია შეეძლო და თავის დიდ ჩანაფიქრს ასე უფრო ადვილად მიუახლოვდებოდა, მაგრამ... ნეტავ რა თანხა შეაძლევს ამაყმა ინგლისელებმა ასეთი?

ხოლო, ის, რომ ინგლისელებს უნიკალური რეკორდის, 5 მეტრის მაინც და მაინც ლონდონში დამყარება სდომებოდათ მათი ბუნებიდან გამომდინარე ძალიან ლოგიკურია და ამაში ფულს ნამდვილად არ დაინანებდნენ...

და აი, სამი კვირის შემდეგ ისევ დადგა პარასკევი დღე და ისინბაევა ქალთა ახლანდელ და მომავალ თაობებს უკვე 6 მეტრისკენ გაუძღვა. 12 აგვისტოს მსოფლიოს ჩემპიონატზე დამყარებული რეკორდი მრგვალი რიცხვით აღარ იზოიმება მაგრამ დიდი რეკორდია.

შეჯიბრებაში კი ქალი-ბუბკა 4,50-ზე ჩაება და თამასას ისე ადვილად გადაევლო, რომ სპეციალისტებმა კოჭებზე შეატყვეს, რეკორდი რომ მზადდებოდა.

მერედა, საყოველთაო აღიარებით ძალიან მნიშვნელოვანია ისიც, რომ ელენა ისინბაევა პირმშვენიერი მომღიმარი და დადებითი აურის ადამიანია, თუმცა შედეგები...

გავიხსენოთ, რა სიმაღლეზე გადებულ თამასას გადაახტა შარშან, ათენის ოლიმპიადაზე, როდესაც ასევე მსოფლიო რეკორდი დაამყარა: 4,91 მეტრს. გრძნობთ, ისინბაევას წყალობით რამხელა პროგრესია მსოფლიო ჭოკით ხტომაში? ხომ აშკარაა, რომ დღევანდელი რეკორდი თვისობრივად სხვა, სხვა განზომილებისაა, მაგრამ ვოლგოგრადელი ქალი ჩვეულებისამებრ გარშემო ხალხს იქით უხდის მადლობას:

„მინდა უპირველეს ყოვლისა დიდი მადლობა გადავუხადო დედას, მამას და დას, მათთან ერთად კი ყველას, ვინც ჩემს გვერდითაა და ვუყვარვარ. დღევანდელ გამოსვლაზე მხოლოდ ერთის თქმა შემიძლია, ბედნიერი ვარ, ბედნიერი გახლავართ, მსოფლიოს რეკორდი რომ დავამყარე და ჩემპიონი გავხდი. ამ დღეებში ამინდს რომ შევხვდი შევშფოთდი, მაგრამ საერთოდ მომცინარი ადამიანი გახლავართ, ყველაფერში კარგის დანახვას ვცდილობ და, ალბათ ესეც ძალიან მეხმარება.

დღეს თამასა ძალიან მაღლა მოვხსენი. ასეთ სიმაღლეზე ახტომა მეტისმეტად ძნელია, მაგრამ ამასთან იმისაც მწამს, რომ მიმდინარე სეზონში 5,02-საც დავძლევ. მეორე მხრივ, მსოფლიოს ჩემპიონატი წლის მთავარი შეჯიბრება გახლდათ და მასში გამარჯვება ჩემი ოცნება კი არა, მიზანი იყო. ახლა უნდა განვიმუხტო, იქნებ საღამოს საცეკვაოდ წავიდე.“





ისინბაევას ტრიუმფალური მალაყი

### 12 აგვისტო

#### ჭოკით ხტომა ქალები

| | |
|---|---|
| 1 ელენა ისინბაევა (რუსეთი) | 5,01 |
| 2 მონიკა პირეკი (პოლონეთი) | 4,60 |
| 3 პავლა ჰამაჩკოვა (ჩეხეთი) | 4,50 |

#### 200 მ ქალები

| | |
|---|---|
| 1 ელისონ ფელიქსი (აშშ) | 22,16 |
| 2 რეჩილ ბუნი-სმიტი (აშშ) | 22,31 |
| 3 კრისტი არონი (საფრანგეთი) | 22,31 |

#### უროს ტყორცნა ქალები

| | |
|---|---|
| 1 ოლგა კუზენკოვა (რუსეთი) | 75,10 |
| 2 იპსი მორენო (კუბა) | 73,08 |
| 3 ტატიანა ლისენკო (რუსეთი) | 72,46 |

#### 110 მ თარჯრბენი კაცები

| | |
|---|---|
| 1 ლადი დუკური (საფრანგეთი) | 13,07 |
| 2 ლიანგ ლიუ (ჩინეთი) | 13,08 |
| 3 ალენ ჯონსონი (აშშ) | 13,10 |

#### 400 მ კაცები

| | |
|---|---|
| 1 ჯერემი უორინერი (აშშ) | 43,93 |
| 2 ენდრიუ როკი (აშშ) | 44,35 |
| 3 ტაილერ კრისტოფერი (კანადა) | 44,44 |

# მსოფლიოს ჩემპიონატი. ჰელსინკი. 6-14 აგვისტო

HELSINKI August 6-14 2005
IAAF World Championships




# უსახური, სახიანი ჩემპიონი

**პირველ** ეტაპზე მწკრივში მერვედ დააყენეს, ნახევარფინალში კი ისე წვიმდა, რომ შთბეჭდილება საერთოდ ვერ მოახდინა... მაგრამ აი, დადგა ფინალური გარბენის საღამო და ამერიკელმა ჯერემი უორინერმა სასტარტო გასროლიდან ფინიშის ხაზის გადაკვეთამდე ისე რიბინა, რომ მასთან დაკავშირებით ეჭვიანი კითხვა აღარავის გასჩენია — ათენის ოლიმპიადის გამარჯვებული 400 მეტრზე სირბილსა და 4X400 მეტრ ესტაფეტაში მსოფლიოს ჩემპიონიც შეიქნა.

„იმედი მაქვს, რომ ადრე თუ გვიან მსოფლიოს რეკორდსაც დავამყარებ — განაცხადა კაცმა, რომელმაც მაიკლ ჯონსონის სპორტიდან წასვლის შემდეგ 400 მეტრზე სირბილს ყველაზე დიდი კვალი დააჩნია — იმედი მაქვს, რომ რამდენიმე წელიწადი კიდევ ვიასპარეზებ უმაღლეს დონეზე, თუმცა მწვრთნელი, ამბობს, რომ კიდევ ხუთი წარმატებული წელიწადი მელის წინ."

# კაცური კაცი საფრანგეთიდან

**ჰელსინკის** „ოლიმპიური სტადიონის" დინამიკებიდან მარსელიეზა გრგვინავდა, ხოლო კვარცხლბეკზე ასული ადამიანი ჰიმნის ტაქტში თავს აქანავებდა.

ამ ადამიანს ლადი დუკური ჰქვია და მისი ოცნება მსოფლიოს ჩემპიონატის მოგება გახლდათ. აი, ამერიკელ ალენ ჯონსონს კი საწინააღმდეგო ოცნება ჰქონდა — დუკურის დამარცხება ეწადა, რათა ზედიზედ მეხუთედ მოეპოვებინა მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული, მაგრამ ვერ შეძლო, ოცნება ფრანგმა დაუმსხვრია. ისე, კაცმა რომ თქვას, ოცნება რამეს უნდა ემყარებოდეს. ჯონსონი მთელი თავისი ტიტულების მიუხედავად ბოლო ორი წელიწადია, პირველ ადგილებს ველარ ეპოტინება, ხოლო უშუალოდ დუკურთან TDK-ს „ოქროს ლიგა" ჰქონდა წაგებული. ერთი სიტყვით, იმის თქმა გვინდა, რომ დუკურისთვის უფრო საძნელო საქმე, ალბათ მეორე ადგილზე გასული ჩინელის, ჟანგ ლიუს ძლევა იყო.

„ვერ წარმოიდგენთ, რამდენი ხანი ვოცნებობდი მსოფლიოს ჩემპიონიბაზე — თქვა 22 წლის ფრანგმა ფინალური გარბენის შემდეგ გამართულ პრეს-კონფერენციაზე — დღევანდელი წარმატება მძიმე შრომისა და იმ ხალხის დამსახურებაა, რომელთაც ჩემი შესაძლებლობებისა სწამდათ და გვერდით მედგნენ. არ დაგიმალავთ, ფინალში ძალიან ცუდი სტარტი მქონდა, მაგრამ მეოთხე წინაღობის შემდეგ გარბენი გამოვასწორე და პირდაპირ ფინიშის ხაზზე გავილაშქრე უპირველეს ყოვლისა მინდოდა მთელ მსოფლიოს დაენახა, რომ ძალიან სწრაფი სირბილი შემიძლია. იმას კი არ ვამბობ, რომ ყველა დროსა და ვითარებაში უძლიერესი მე ვარ, მაგრამ დღეს რომ ყველას ვაჯობე, ფაქტია."

საინტერესოა, რომ დუკურის ბიოგრაფია ძალიან ჰგავს მისი თანამემამულის, თარჯრბენის ქალი ჩემპიონის მიშელ პერის ბიოგრაფიას. კერძოდ იმის თქმა გვინდა, რომ ოდესღაც დუკურისა არ იყოს პერიც ბევრ დისციპლინაში გამოდიოდა, საფრანგეთში დეკატლონი მოიგო და ახალგაზრდათა შორის ევროპის ჩემპიონი გახდა.

აღსანიშნავია, რომ ჩემპიონობა დუკურმა ხეირიანად ვერც იზეიმა, რადგან პირდაპირ დააცხრნენ დოპინგ კონტროლის ლაბორანტები და „გაიტაცეს".

და ბოლოს, ლადი დუკური საფრანგეთში კარგ ადამიანად არის ცნობილი. პოპულარულ ადამიანთაგან იგი მეგობრობს ფეხბურთელ ტიერი ანრისთან, ხოლო განსაკუთრებით ბევრს მის ხელგაშლილობაზე ლაპარაკობენ.




ლადი დუკურმა (შუაში) ოქროს მედალი მოიპოვა




იამაიკელ ვერონიკა კემპბელს (მარცხნივ) და ფრანგ კრისტი არონს (მარჯვნივ) ფინიშთან ამერიკელმა ელისონ ფელიქსმა მიასწრო

# დედიკოს და მამიკოს გოგო

**რამდენიმე** კვირის წინ რომ გეკითხათ, ვინ გამხდება 200 მეტრზე რბენაში მსოფლიოს ჩემპიონიო, ნებისმიერი საქმეში ჩახედული ადამიანი ასე გიპასუხებდათ — ოლიმპიური ჩემპიონი, იამაიკელი ვერონიკა კემპბელი, რომელსაც ქალ მძლეოსანთა სამყაროში ეპყრა ყველაზე ხანგრძლივი ბატონობის რეკორდი: 59 თვეში 39 გარბენი (ბუნებრივია მხოლოდ ფინალურები არ იგულისხმება) მოეგო. მაგრამ ერთი თვის წინ მოხდა სასწაული — ლონდონში გარბენი მოიგო არა კემპბელმა, არამედ ათენის ოლიმპიადის ვიცე-ჩემპიონმა, კალიფორნიელმა თინეიჯერმა ელისონ ფელიქსმა, რომელიც აგერ, ახლა მსოფლიოს ჩემპიონიც შეიქნა.

საინტერესოა, რამდენ ხანს გაძლებს ეს 18 წლის გოგონა მსოფლიო „200 მეტრის" მწვერვალზე? მისი მწვრთნელი ამბობს, რომ ელისონის ბადალი ხული ოლიმპიადის განმავლობაში არავინ იქნება.

სხვათაშორის, ძალიან მოკლე დროის განმავლობაში ფელიქსმა რამდენიმე სერიოზულ შეჯიბრებაში მოსინჯა ძალა. ჯერ იყო და ციურიხში იყო „ოქროს ლიგაზე" სარბენად, შემდეგ ინგლისში, შეფილდში გადაინაცვლა, ხოლო ბოლოს ჰელსინკის „ოლიმპიურზე" მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული მოიგო.

„კიდევ, იაპონიაში მელის ორი გარბენი — ამბობს ელისონ ფელიქსი — ამიტომ სკოლაში ორი კვირის გაცდენა მომიხდება. მსოფლიოს ჩემპიონი სამხრეთ კალიფორნიის უნივერსიტეტთან არსებულ ელემენტარული განათლების სკოლაში დადის), რის გამოც წიგნების ჩამოტანა ჩემს ძმას, პროფესორებს კი ჯგუფის მოგვიანებით დაწევის ნებართვა უნდა ვთხოვო."

შემდეგ ჩემპიონმა განაცხადა, რომ სტარტში ტრადიციულად სუსტია, ხოლო ოლიმპიადის შემდეგ მწვრთნელის გამოცვლა მოუხდა.

„ათენის მერე მწვრთნელი იმიტომ გამოვიცვალე, რომ კალიფორნიის და სწავლის მიტოვება არ მინდოდა. მოკლედ, პეტ კონელიდან ბობი პერსისთან გადავინაცვლე, ბობთან მუშაობა კი გაცილებით მეტ სირბილს, ცალკეული დეტალის 600-ჯერ გამეორებას და სხვა ისეთ რაღაცებს ნიშნავს, რომ დღეს თავს გაცილებით ღონიერად ვგრძნობ. შარშანდელს და წლევანდელს შორის მთავარი განსხვავება სწორედ ეს არის.

ჩემს ყველანაირ მედალს კი მშობლების სახლში ვაგზავნი და ისინი აწყობენ ლამაზად. საერთოდ, დედ-მამა ჩემი დიდი საყრდენია. დედაჩემი ელემენტარული სკოლის მასწავლებელია, მესამე საფეხურის მოსწავლეებს უტარებს გაკვეთილებს, ხოლო მამა სემინარიაში „ახალი აღთქმის ბერძნულს" ასწავლის."

# ასეც ხდება, ისეც ხდება

**ბედსა** თუ ცხოვრებას თავისი კანონები აქვს, რომლებიც ჩვენ ჯერ ვერ შეგვისწავლია — ოლგა კუზენკოვა უროს ტყორცნაში ჩემპიონის ტიტულს, ოქროს მედალს რომელიმე დიდ შეჯიბრებაში, მთელი ხუთი წლის განმავლობაში ელოდა, მაგრამ მხოლოდ მეორეობას და რაღაც ასეთებს სჯერდებოდა. ერთი სიტყვით, მასზე ამბობდნენ პატარძალი მუდამ სხვაა, ოლგა მხოლოდ ხელის მომკიდეობას ქაჩავსო და აი, ასეთ ჰროს, კუზენკოვა 2004 წელს ოლიმპიურ ოქროს იგებს, 2005 წელს კი ზედაც მსოფლიოს ჩემპიონი ხდება.

„თავიდან ვნერვიულობდი, შემდეგ კი დავმშვიდდი, ტყორცნებს ძალა დავატანე და ყოველ მომდევნო ჯერზე უკეთ და უკეთ გამომდიოდა ყველაფერი" — თქვა კუზენკოვამ.

# მსოფლიოს ჩემპიონატი. ჰელსინკი. 6–14 აგვისტო

**HELSINKI** August 6–14 2005
IAAF World Championships

# დიბაბას დიდი დუბლი



**ხუთი** თვე არ არის გასული მას მერე, რაც ეთიოპიელები საფრანგეთში გამართულ კროსის მსოფლიო ჩემპიონატზე ტირუნეშ დიბაბას წყვილ ოქროს ზეიმობდნენ და აი, ჰელსინკიში გამართულ მძლეოსანთა მსოფლიოს პირველობაზე ანუ რანგით უფრო დიდ შეჯიბრებაში კვლავ დუბლზეიმის საბაბი მიეცათ — დიბაბამ ისევ ორი ოქრო მოიგო.

პირველი ოქრო ახალგაზრდა ეთიოპიელმა ჩემპიონატის დასაწყისში 10 000 მეტრზე, ხოლო მეორე ჩემპიონატის ბოლოს 5 000 მეტრზე სირბილში მოიგო.

„ვინაიდან ეს მსოფლიოს პირველობაა, ძალიან ნელ გარბენს ველოდი, მარგამ ჩინელმა გოგომ, სუნ ინგიემ ტემპი აწია და საქმე ჩემპიონატის რეკორდამდე მიიყვანა. თუმცა, ყველაფრის მიუხედავად ჩვენ, ეთიოპიელები პირველ ოთხ ადგილს ვგეგმავდით და მივაღწიეთ კიდეც საწადელს." — განაცხადა დიბაბამ პრეს-კონფერენციაზე.

კაცმა რომ თქვას, ეთიოპიელთა ოთხეულის წარმატებაში ეჭვი იმთავითვე არავის შეპარვია. საკითხავი სხვა რამ იყო: რამდენად გამოფიტა 10 000 მეტრზე სირბილმა თავად დიბაბა. ამ კითხვაზე პასუხი, როგორც ჩანს ჩემპიონატისთვის მზადების ეთიოპიურ მეთოდში უნდა ვეძებოთ. კერძოდ, რომში გამართული TDK-ს „ოქროს ლიგის" შემდეგ, ეთიოპიის მძლეოსანთა ნაკრები ადის აბებაში, დაბრუნდა და სასტუმრო „უეიბ შიბილში" ჩაიკეტა. ამ სასტუმროდან მძლეოსნები ავტობუსით ყოველ დღე აჰყავდათ ქალაქის შემოგარენში, ზღვის დონიდან 2900 მეტრ სიმაღლეზე, სადაც მწვრთნელი ტოლას კოტუ ტყავს აძრობდა.

ჰელსინკის „ოლიმპიურ სტადიონზე" კი საინტერესო რამ მოხდა: ფინიშამდე სამი წრით ადრე დიბაბამ ლიდერობა ჩაიგდო და.. ტემპის მომატების ნაცვლად სირბილი შეანელა. თურმე ნუ იტყვით და ეთიოპიელ ჩემპიონს განზრახ სდომებია ბოლო წრემდე წინ სხვა ჰყოლოდა გაშვებული, მაგრამ...

„ჩვენ, ეთიოპიელები ადრევე შევთანხმდით, რომ ლიდერობა ერთმანეთისთვის უნდა გაგვეცვალა. ამიტომაც შევანელე ტემპი, მაგრამ მალევე დავინახე, რომ ველარავინ მისწრებდა" — განმარტა ტირუნეშ დიბაბამ, მესამეზე გასული ეჯეგაიეჰუ დიბაბას დამ და ყოფილი ვარსკვლავის, 10 000 მეტრზე სირბილში 1992 წლის ოლიმპიური ჩემპიონის, დერარტუ ტულუს ბიძაშვილმა, დეიდაშვილმა თუ მამიდაშვილმა, მოკლედ კუზენმა.

„ყოველთვის, როდესაც რომელიმე შეჯიბრებაზე მივდივარ, დერარტუ ისეთ რჩევებს მაძლევს, აუცილებლად რომ მადგება — ამბობს დუბლჩემპიონი და მომავალი ტრიუმფებისთვის ემზადება.

## ქალები სჯობიან კაცებს

**ქალთა** ესტაფეტა 4X100 მეტრი ამერიკელებმა, ანჯელა დაილმა, მიუნა ლიმ, მელისა ბარბერმა და ლორინ უილიამსმა მოიგეს.

„ზუსტად იგივე გეგმა გვქონდა, რომელსაც ადრე მივსდევდით, — განაცხადა ლორინ უილიამსმა გარბენის შემდეგ მოწყობილ სავალდებულო პრეს-კონფერენციაზე, — არ დაგიმალავთ, გადაცემის მომენტზე ცოტა ჭნერვიულობდი, მაგრამ ვგონებ საბოლოოდ ყველაფერი კარგად გამოვიდა. ჩვენი კაცების წარუმატებლობის გამო ატმოსფერო მართლაც მძიმე იყო, მაგრამ მაინც მოვახერხეთ და გონება მხოლოდ საკუთარ გამოსვლაზე დავძაბეთ."

მელისა ბარბერი: „დღეს არც საკუთარი პრობლემები გვქონია და არც ამინდს შეუშლია ხელი. წინა დღეებისგან განსხვავებით არ წვიმდა. აღსანიშნავია, რომ ჩვენმა ოთხეულმა პირველად მხოლოდ ქალთა 100 მეტრის ფინალის შემდეგ ივარჯიშა"

## მკვრელზე მკვრელი

**ნადეჟდა** ოსტაპჩუკი იმთავითვე გამოცხადებული ჩემპიონი იყო. მის უპირატესობას მსოფლიოს პირველობაზე გაფორმებაღა აკლდა და ეს ამბავიც ძალიან შთამბეჭდავად მოხდა: ბოლო ცდაზე ბელარუსმა ბირთვის მკვრელმა 20,51 მეტრზე ჰკრა თავისი მძიმე იარაღი, მაშინ, როდესაც მეორე ადგილზე გასულმა რუსმა ოლგა რიბანკინამ ასეთი შედეგი აჩვენა — 19,64.

„დღევანდელი გამარჯვება ჩემი შურისძიებაა ოლიმპიადაზე დამარცხებისთვის, — თქვა შემდეგ ბელარუსმა, — მზად ვიყავი ბირთვი 21 მეტრზეც კი მეკრა, მაგრამ კუნთები გამეყინა. მინდოდა გავხურებულიყავი, ოღონდ დღისით ცხელოდა, მერე აგრილდა, ოფლისგან მთელი სამოსი დამისველდა და ტენიანობის გამო ველარაფრით გავშრი. მოკლედ შეჯიბრების ბოლო ნაწილის წინ კუნთების პრობლემები შემექმნა და ამან ხელი შემიშალა."

## ცუდი-საუკეთესო გარბენი

**ჩავიდა** თუ არა ფინეთის დედაქალაქში 400 მეტრზე თარჯრბენის ოსტატმა იულია პეჩონკინამ აიჩემა: „ოქრო, მხოლოდ ოქრო, არაფერი ოქროს გარდა!"

ამოჩემებამ დიდებული შედეგი მოიტანა — 52,90 წამი ანუ მსოფლიოს ჩემპიონატის ოქროს მედალი.

„ამ გამარჯვებას ორი წლის განმავლობაში ველოდი, განუცხადა შემდეგ ჟურნალისტებს, — თანაც ასეთი ტაქტიკა მქონდა არჩეული: მსუბუქი სტარტი და ძლიერი ფინიში. ერთი სიტყვით, დიდებული გარბენი ნამდვილად არ ყოფილა. ტექნიკური თვალსაზრისით იყო მომენტები, რომელთა დახვეწაც აუცილებლად მმართებს. დამრჩა შეგრძნება, რომ მარაგი დიდი მაქვს, მაგრამ, იმავდროულად ეს მიმდინარე სეზონში ჩემი საუკეთესო დრო გახლდათ. ერთი სიტყვით, გული არაფერზე მწყდება, მითუფრო, რომ მსოფლიოს ჩემპიონი გავხდი."

## ბრინჯაო? არა, ოქრო!

4X100 მეტრზე ესტაფეტაში ოქროს მედალი ფრანგ კაცებს დარჩათ. გამარჯვებულთა გვარებია: ლადი დუკური, რონალდ პონიონი, ედი დე ლეპენი და ლუი დოვი [illegible]. ვინც მსოფლიოს ჩემპიონატს ადევნებს თვალს, ჩამოთვლილთაგან ყველაზე ცნობილი დუკური გახლავთ, რომლის შესახებაც ბევრი დაწერია. გთავაზობთ მის კომენტარს.

„ეს ჩემი მეორე მედალია და საბედნიეროდ ორივე ოქროსაა. დღევანდელი წარმატებისთვის ექვსკაციანმა გუნდმა მუხლჩაუხრელად ვიშრომეთ. არ დაგიმალავთ, ჰელსინკიში ჩამოსვლამდე ვფიქრობდი ორი მედალი უნდა მოვიგო, მეთქი, მაგრამ მეგონა ორივე ბრინჯაოსი იქნებოდა. ბედნიერი კაცი ვარ."

### 14 აგვისტო

**მარათონი ქალები**

| | |
|---|---|
| 1 პოლა რედკლიფი (დიდი ბრიტანეთი) | 2:20,57 |
| 2 კატერინ ნდერება (კენია) | 2:22,01 |
| 3 კონსტანტინა ტომესკუ (რუმინეთი) | 2:23,19 |

**სიმაღლეზე ხტომა კაცები**

| | |
|---|---|
| 1 იური კრიმარენკო (უკრაინა) | 2,32 |
| 2 ვიქტორ მოია (კუბა) | 2,29 |
| 3 იაროსლავ რიბაკოვი (რუსეთი) | 2,29 |

**800 მ კაცები**

| | |
|---|---|
| 1 რაშიდ რამზი (ბაჰრეინი) | 1:44,24 |
| 2 იური ორზაკოვსკი (რუსეთი) | 1:44,51 |
| 3 უილიამ იამპოი (კენია) | 1:44,55 |

**შუბის ტყორცნა ქალები**

| | |
|---|---|
| 1 ოსლეიდის მენენდესი (კუბა) მს. რეკორდი | 71,70 |
| 2 კრისტინა ობერგჰოლი (გერმანია) | 70,03 |
| 3 შტეფი ნერიუსი (გერმანია) | 65,96 |

**5 000 მ კაცები**

| | |
|---|---|
| 1 ბენჟამინ ლიმო (კენია) | 13.32,55 |
| 2 სილეში სიჰინე (ეთიოპია) | 13:32,81 |
| 3 კრეიგ მოტრამი (ავსტრალია) | 13:32,96 |

**1 500 მ ქალები**

| | |
|---|---|
| 1 ტატიანა ტომაშოვა (რუსეთი) | 4:00,35 |
| 2 იულია ჩიჟენკო (რუსეთი) | 4:00,93 |
| 3 ოლგა ეგოროვა (რუსეთი) | 4:01,46 |

**4X400 მ ესტაფეტა ქალები**

| | |
|---|---|
| 1 რუსეთი | 3:20,95 |
| 2 იამაიკა | 3:23,29 |
| 3 დიდი ბრიტანეთი | 3.24,44 |

**4X400 მ ესტაფეტა კაცები**

| | |
|---|---|
| 1 აშშ | 2:56,91 |
| 2 ბაჰამა | 2:57,32 |
| 3 იამაიკა | 2:58,07 |

### 13 აგვისტო

**მარათონი კაცები**

| | |
|---|---|
| 1 ჟუად ღარიბი (მაროკო) | 2.10,10 |
| 2 კრისტოფერ ისეგვე (ტანზანია) | 2:10,21 |
| 3 ცუიოში ოგატა (იაპონია) | 2:11,16 |

**ბირთვის კვრა ქალები**

| | |
|---|---|
| 1 ნადეჟდა ოსტაპჩუკი (ბელარუსი) | 20,51 |
| 2 ოლგა რიაბინკინა (რუსეთი) | 19,64 |
| 3 ვალერი ვილი (ახალი ზელანდია) | 19,62 |

**5 000 მ ქალები**

| | |
|---|---|
| 1 ტირუნეშ დიბაბა (ეთიოპია) | 14:38.59 |
| 2 მესერეტ დეფარი (ეთიოპია) | 14:39.54 |
| 3 ეჯეგაუეჰუ დიბაბა (ეთიოპია) | 14:42.47 |

**4X100 მ ესტაფეტა კაცები**

| | |
|---|---|
| 1 საფრანგეთი | 30.08 |
| 2 ტრინიდადი და ტობაგო | 38,10 |
| 3 დიდი ბრიტანეთი | 38,27 |

**4X100 მ ესტაფეტა ქალები**

| | |
|---|---|
| 1 აშშ | 41,78 |
| 2 იამაიკა | 41,99 |
| 3 ბელარუსი | 42,56 |

**400 მ თარჯრბენი ქალები**

| | |
|---|---|
| 1 იულია პეჩონკინა (რუსეთი) | 52,90 |
| 2 ლაშინდა დემუსი (აშშ) | 53,27 |
| 3 სანდრა გლოვერი (აშშ) | 53,32 |

**სიგრძეში ხტომა კაცები**

| | |
|---|---|
| 1 დუაიტ ფილიპსი (აშშ) | 8,60 |
| 2 იგნისიუს გაისა (განა) | 8,34 |
| 3 ტომი ევილა (ფინეთი) | 8,25 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

AFP სტრინგერიდან



# ქალი კი არა, მზეი ხარ, მზეი

*ტაიგერ ვუდსის მშვენიერი თანამეცხედრე ელინ ნორდეგრენი ნიუ ჯერსიში მდებარე სპრინგფილდში, PGA-ს 87-ე ჩემპიონატს ესწრება და ქმარს ქომაგობს... ვაგლახ, დაუმარცხდა ტაიგერი.*

AFP ინდიანაპოლისიდან



# აბა, სადაურია?

*ტანმოვარჯიშე მარსია ნიუბაი — ფოტო იმხელა დროშის ფონზეა გადაღებული, რომ ქვეყნის დასახელება უხერხულიცაა — ინდიანაპოლისში, „კონსეკო ფილდჰაუზში“ VISA-ს ჩემპიონატში დვირზე ვარჯიშობს.*

# ბერები

AFP ტაიპეიდან



*შაოლინზე ბევრი გვსმენია, იმიტომ, რომ კარგა ხანია მოდაშია. მოდაში კი შაოლინი მონასტრობისა და ლოცვის კი არა, კუნფუს გამოა. ჰოდა, ინებეთ: შაოლინელი ჩინელი ბერები ტაივანზე წასულან, რაკილა თქვენ ცრუ კუნფუს სწავლებაზე უარს ამბობთ, ნამდვილს ჩვენ გაჩვენებთო.*

AFP ათენიდან



# ათენში 39 გრადუსია

*რა დაგვრჩა ათენის ოლიმპიადის გახსნიდან ერთი წლის თავზე? რა და, დიდი ტორტი, რომელშიც ერთი სანთელი ჩაარჭეს და ბავშვებს ჯერ შეაბერინეს, მერე აჭამეს და ჩიჩბული კომპლექსი, რომელსაც ტურისტები ათვალიერებენ, ძაღლები კი აუზში გრილდებიან.*

AFP ათენიდან



სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის
28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს,
სამშაბათს, ოთხშაბათს,
ხუთშაბათს,
პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი ილია ბაბუნაშვილი
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გია ახვლედიანი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, სოსო კიტორეიშვილი, ლაშა ხომერიკი, კაკა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე ლევან კელაურაძე ოთარ მალლაკელიძე ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუჩიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი ღვალიშვილი, მაგდა ლოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი.
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge